ვოლტერი _ ფრანსუა-მარი არუე

ფანატიზმი

ტრაგედია 5 მოქმედებად

ფრანგულიდან თარგმნა გიორგი სალუქვაძემ

მე-18 საუკუნის დიდი ფრანგი განმანათლებელი, ფილოსოფოსი და მწერალი ვოლტერი თავის ნაწარმოებებში („ფილოსოფიური წერილები“, „ფილოსოფიური ლექსიკონი“, ტრაგედიები: „ზაირა“, „ფანატიზმი“, სატირული პოემა „ორლეანელი ქალწული“ და სხვანი) ქადაგებდა ჰუმანიზმს, სამართლიანობას, კიცხავდა სამღვდელოების ფარისევლობას, ილაშქრებდა რელიგიური ფანატიზმისა და საერო ტირანიის წინააღმდეგ.

წინამდებარე თარგმანით მკითხველი ქართულ ენაზე გაეცნობა ვოლტერის ტრაგედიას „ფანატიზმი“, რომელშიც მკაფიოდაა გამოხატული ვოლტერის ათეისტური სულისკვეთება.

მოქმედი პირნი

მუჰამედი

საფირი _ მექის შეიხი ანუ შერიფი

ომარი _ მუჰამედის მხედართმთავარი

სეიდი _ მუჰამედის მონა

პალმირა _ მუჰამედის მონა

ფანორი _ მექის სენატორი

მექის ლაშქარი

მუსლიმთა ლაშქარი

მოქმედების ადგილი _ მექა

მოქმედება პირველი

სურათი პირველი

საფირი, ფანორი

საფირი

მე დავიჩოქო მის წინაშე, ვისიც სრულებით

არ მწამს ღირსება და არც ყალბი სასწაულები?

მექის განდევნილს ზარ-ზეიმით როგორ შევხვდები!

არა და არა! თავს დამატყდეს რისხვა ღმერთების,

თუ საფირის ხელს თავისუფალს, კურთხეულს მაღლით

მოესურვება მოეფეროს შლეგსა და თაღლითს.

ფანორი

საქები არის ქვეყნისათვის ზრუნვა შვილისა

და ჩვენც გიმადლით წმინდა თავკაცს იზმაილისა,

მაგრამ კერპობა ეგოდენი, ვფიქრობ, არ გვარგებს.

ამით მუჰამედს კი არ ვაცხრობთ, უფრო ვაშმაგებთ.

კანონის მახვილს თავიდანვე რად არ მიმართე,

რად არ მოჰკვეთე ბოროტებას ფესვი წინათვე?

მცირე ნაპერწკალს საშინელი მოჰყვა ხანძარი

და არ თავდება იმის შემდეგ ომი საზარი.

არად მიგაჩნდა მუჰამედი _ ამბოხი ბნელი,

მის დასამხობად არ აღმართე სასტიკი ხელი.

ახლა ტახტზე ზის და ზეიმობს მეფე დიდგული,

მექაში _ ცრუ და მედინაში _ ღვთის მოციქული.

თუმც უამრავი ბოროტების არის ჩამდენი _

შეიყვარებს და აღამაღლებს ტომი რამდენი.

სასახლეშიაც, ჩვენს გარშემო ბევრი მეგულვის

ცდუნების ბანგით დამთვრალი და გაბრუებული _

მის სასწაულებს ავრცელებს და ურჯუკს ენდობა,

ხალხს აჯანყებენ, ქადაგებენ ღვთის გარეგნობას.

ლაშქარს ელიან, დაბრმავებულთ ისა სწამთ ერთი,

სჯერათ, უძლეველს წინ მოუძღვის საზარი ღმერთი.

ბევრი ერთგული მოქალაქე ჩვენს მომხრედ რჩება,

მაგრამ ყველა ხომ არ ირწმუნებს გონივრულ რჩევას.

ახალმა რწმენა, შიშმა, ყალბმა აღფრთოვანებამ

მექის დამცველნი მოადუნა, წაართვა ნება.

ხალხი, რომელსაც ახსოვს შენი ზრუნვა და სითბო,

შენ, როგორც მამას, მოგიხმობს და მშვიდობას ითხოვს.

საფირი

ვით შევირიგო ის ვერაგი, ის ყალბისმქმნელი?!

აჰ, მხდალო ხალხო, საშინელი მონობა გელის.

მაშ, განადიდეთ, ხელისგულზე ატარეთ კერპი,

რომ გაისრისოთ სათაყვანო ტირანის ტერფით.

მე კი მძაგს იგი _ არამზადა, ბილწი და კრული.

აღარ მრთელდება, არა, მწარედ დაჭრილი გული.

მასაც ხომ ვძულვარ, შურისგება აწვალებს მწველი:

როცა ჩემს ოჯახს უმოწყალოდ დარია ხელი,

შურისძიებით ანთებული მივეჭერ მაშინ _

ავიკელ მისი ბანაკი და მოვუკალ ვაჟი.

არ წაეყრება ამ სიძულვილს დროის ნაცარი,

აღარასოდეს ჩაგვიქრება გულში ხანძარი.

ფანორი

დე, იგიზგიზოს, მაგრამ ხანძრის დამალეთ ალი,

ხალხს ნუ უჩვენებთ, ზიზღი გულში ატარეთ მალვით,

კმარა სისხლისღვრა, ჯობს ჩააგო ხმალი ქარქაშში _

აღარც ძმა შეგრჩა, არც მეუღლე, აღარც ქალ-ვაჟი.

ოჯახი აღარ შეგარჩინეს და დარჩი მარტო.

ახლა ოჯახი სამშობლოა, ბედი რომ განდო.

საფირი

განა არ ვიცი, რომ სამშობლოს ლაჩარი კარგავს?

ფანორი

ზოგჯერ ვერც კერპი ინარჩუნებს, შენც უწყი კარგად.

საფირი

თუ საჭიროა, თავს შევწირავთ!

ფანორი

ამაოდ ცხარობ,

მაგ შუღლის ცეცხლის ჩამქრობელი მე ვიცი წყარო.

მოწყალე თვალით გადმოხედვა ღმერთმა ინება,

მანვე ისურვა იმ ტირანის დამორჩილება.

მშვიდობის კარავს სამუდამოდ თქვენს შორის დასცემს

ასული, მისი ბანაკიდან რომ მოიტაცე.

ვერ შეელევა ნორჩ პალმირას _ მის ხელში გაზრდილს,

მისი დესპანიც შენთან ხშირად ამიტომ დადის.

თუ დაუბრუნებ, მოულბება მუჰამედს გული.

საფირი

რას ამბობ?! ველურს დავუმონო მშვენება სრული?

სისხლიან ხელებს ჩავაბარო განძი, რომელიც

არის უბადლო და სასყიდლად მიუწვდომელი?

იგი გვიმზადებს ომს და ტანჯვას, რბევას, აკლებას,

იგი გვიქადის მონობას და გაჩანაგებას.

ვერ მოვექცევი მე იმ ბოროტს მეგობრის მსგავსად,

მშვენიერებას ვერ დავუთმობ წყალობის ფასად.

უკვე მოვხუცდი _ მუჰამედის არა მკლავს შური,

თავდავიწყება აღარ ვიცი წინანდებური,

მაგრამ შვილები რომ დავკარგე, დარდის წყვდიადი

მსურს გავარღვიო და ვიხილო კვლავ განთიადი.

როს ვლამობ გულის ამ ქვეყნისკენ შემობრუნებას,

ასული იგი მაცოცხლებს და მესალბუნება.

განსჯის ბრალია, თუ ბერიკაცს ძალა არ მერჩის _

არ შემიძლია ვნახო იგი ურჩხულის ხელში.

რომ წარმოვიდგენ, მეკარგება შიშისგან ფერი!

ნეტავ ისმინოს ვედრება და ამ სახლის ჭერი

შეიტკბოს ნეტავ სიკეთისთვის, იზამდეს ღმერთი _

შესძულდეს მასაც ისე, როგორც მძულს _ მუჰამედი.

მოდის კიდევაც ჩემი შვება და ნეტარება,

ჩვენი ღმერთების სამსხვერპლოსკენ მოეჩქარება.

მოდის სათნო და გულმოწყალე, უმანკო სული,

მის შუბლს ნათელი ასხივოსნებს, ცით გადმოსული.

სურათი მეორე

საფირი, პალმირა

საფირი

ნორჩო ასულო, შენ ხარ ჩემი ქვეყნის მშვენება,

შენ მილამაზებ, მშვენიერო, მზის ჩასვენებას.

მტარვალს ხელიდან გამოგტაცეთ და დაგიხსენით.

გვანაღვლებს შენი მწუხარება, ნაღველი შენი.

პატივს ვცემთ ჩვენ მაგ სათნოებას, უმანკოებას.

მითხარი, რა გსურს? დავთმობ, რაც კი მომეპოვება

და მე ვიქნები ბედნიერი ადამიანი,

თუ ავასრულე შენი თხოვნა სამართლიანი.

პალმირა

უკვე ორი თვე მიიწურა, შენი ტყვე რომ ვარ

და მწარე ხვედრის მორჩილება მასწავლა დრომა.

შენ იყავ ჩემი მოსარჩლე და ნუგეშის მგვრელი,

მოწყალე ხელით შემიმშრალე მდუღარე ცრემლი.

ამიტომ ვბედავ სასოებით ხვეწნა-ვედრებას,

შეგიძლია და მომანიჭე ბედნიერება.

მუჰამედმა ხომ გთხოვა, ახლა მეც მინდა გთხოვო,

ამხსენ ბორკილი, სანუკვარი შვება რომ ვპოვო.

თუ ამას იზამ, გავიხარებთ მეცა და ისიც.

ვეტყვი: „შენს შემდეგ საფირია თაყვანის ღირსი“.

საფირი

მოგნატრებია მონის ხვედრი, ქვიშა მტვრიანი,

უდაბნოს ქარში ფორიაქი და ხეტიალი.

უსამშობლოოდ ვით იქნები მოსვენებული?

პალმირა

სამშობლო მხოლოდ მუჰამედის გვერდით მეგულვის,

იქ, სადაც გრძნობა გამიღვიძა მან უამესი.

ახლაც მის ცოლთა საალერსო სიტყვები მესმის,

ისინი მზრდიდნენ და სიკეთის ლამპარი მომცეს.

ქმრის სადღეგრძელოდ აღავლენდნენ მხურვალე ლოცვებს.

ვაგლახ, არასდროს მავიწყდება ის დღე საზარი,

როდესაც ომმა დაგვიქცია წმინდა ტაძარი.

აბა, რად გინდა შენს მახლობლად უგულოდ დავრჩე _

გული იქ დამრჩა, საიდანაც გამომიტაცე.

საფირი

არ ვიცი, განა, რას ფიქრობ და გულში რა გიდევს? _

ეგებ შენს ბატონს შეუყვარდე, შეგირთოს კიდეც.

პალმირა

მშფოთვარე სულით მწამს მე იგი, მის რწმენას ვეტრფი,

ის არის ჩემი სათაყვანო, მრისხანე ღმერთი.

ეგ კადნიერი ზრახვა გულში ვით უნდა მქონდეს,

არარაობა სიდიადეს ვით გაუტოლდეს?!

საფირი

თუმცა თავს იმდაბლებ, ბრწყინვალება გაბრმავებს მისი,

შენი ქმრობის და ბატონობის არ არის ღირსი.

რა იცი, იქნებ შენს მოდგმასთან გამოჩნდეს არად,

მეფის ტოლად რომ მოაქვს თავი იმ თავხედ არაბს.

პალმირა

არა გვჩვევია წინაპრებით თავმოწონება _

უსამშობლონი და ობოლნი გვზარდეს მონებად.

ერთი ხვედრით ვართ ერთმანეთზე გადაჯაჭვული,

ღმერთია ჩვენი პატრონი და ჩვენი მსაჯული.

საფირი

და მხოლოდ მისი სამსახური გახარებთ ობლებს?

ადიდებთ ბატონს და ივიწყებთ საკუთარ მშობლებს?

მოხუცს, ამ პირქუშ სასახლეში დარჩენილს კენტად,

მსურდა მყოლოდი შენ ნუგეშად და ნათლის სვეტად.

გაანათებდა შენთვის ზრუნვა კაშკაშა მზეებრ

ჩემი სიცოცხლის დასალიერს, მიწურვილ დღეებს.

მაგრამ გძულს ჩემი კანონი და ჩემი ქვეყანა.

პალმირა

ვით გეკუთვნოდე _ საკუთარ თავს ვეკუთვნი განა?

მებრალვი ჩემთვის მზრუნველი და კეთილმყოფელი,

მუჰამედი კი მიყვარს, როგორც მამა მშობელი.

საფირი

ღმერთებო! მამას არქმევ იმ ცრუს, ბილწს, ვერაგს?

პალმირა

აჰ! ვით შეჰბედე! ხალხს სწამს იგი, ხალხს მისი სჯერა.

მას ანდო ბედი და წინასწარმთქმელად იგულვა!

ის ციდან ქვეყნად მოგვევლინა ღვთის მოციქულად!

საფირი

როგორ დაბრმავდნენ ეს მოკვდავნი! საბრალოებმა

მიმატოვეს და აედევნენ იმას ბრბოებად,

ვინც დამესაჯა უნდა ბოროტ საქმეთა გამო

და რომ დავინდე, ახლა ტახტზე ასვლასაც ლამობს.

პალმირა

შიშმა შემიპყრო _ მე მაგნაირ სიტყვებს ვერ ვიტან.

ასეთი ლანძღვა არ მსმენია ბავშვობის დღიდან.

გიმადლი დიდად და ვარ ფრიად დავალებული,

ეს გული არის და იქნება შენი ერთგული,

მაგრამ ჩემს მფარველს როცა ჰკადრებ ძაგებას მაგგვარს,

შიშისგან გული მისკდება და გონებას ვკარგავ.

საფირი

ჰოი, ცრურწმენავ! ეგ სასტიკი შეუპოვრობა

ყველაზე ნაზ და სათნო გულსაც უკარგავს გრძნობას.

პალმირა! როგორ აგიბნია მაცდურმა კვალი!

მებრალები და მეცრემლება ანაზდად თვალი.

პალმირა

მაშ, არ გამიშვებ მასთან?

საფირი

არა, ვერ მიგცემ ტირანს,

ესდენ უმანკო, ნაზი სული რომ შეიწირა.

მიღირხარ ძვირად და ოცნებას სანუკვარს ვეტრფი,

რომ მუჰამედის არ გახდები არასდროს მსხვერპლი.

სურათი მესამე

საფირი, პალმირა, ფანორი

საფირი

რა მოხდა, ფანორ, რა გსურს მამცნო?

ფანორი

მოადის მხრიდან

დედაქალაქის ბჭეს მოადგა ომარი.

საფირი

დიდად

მიკვირს, რომ ჩვენი მეომარი, რომელმაც წინათ

სამშობლოსათვის მამაცობა გამოიჩინა,

შეჰკედლებია ახალ ტირანს _ იმ თვითმარქვიას

და მუჰამედის ეტლს მოჰყვება, როგორც ლაქია.

ფანორი

ვფიქრობ, არ გვმართებს მისი შიში, რადგანაც მოდის

ცალ ხელში ხმლით და მეორეში _ ზეთის ხის რტოთი.

ჩვენს უხუცესებს ესაუბრა მშვიდობის გამო.

სეიდიც ახლავს.

პალმირა

ღმერთო, ნუთუ ჩემს შველას ლამობ!

რაო?! სეიდი მართლა ახლავს?

ფანორი

მოდის ომარი.

საფირი

პალმირა, წადი.

(პალმირა გადის)

ნეტავ რისი არის მნდომარი.

ღმერთნო, ხიფათი იზმაილის შვილებს გვარიდე,

სამი ათას წელს რომ გვწყალობდი, ახლაც გვფარვიდე!

მზეო, ღმერთების მოკაშკაშე წმინდა კანდელო,

ცხოველმყოფელო, წაღმართული გზით წარმმართველო,

მექმენ იმედად და სიმართლით გულის გამთბობად,

რომ შეუპოვრად შევებრძოლო უსამართლობას!

სურათი მეოთხე

საფირი, ომარი, ფანორი, ამალა

საფირი

დაბრუნდი? ექვს წელს სამშობლოდან გადაკარგული,

რომელსაც მკლავით იცავდი და უმუხთლე გულით.

ამ კედლებს ახლაც ახსოვთ შენი საგმირო საქმე,

ხოლო შენ ჩვენი ღმერთები და კანონი დაგმე

და ახლა ჯარით მოსდგომიხარ ამ წმინდა ქალაქს.

თავხედო, ნეტავ როგორ ბედავ ამნაირ ღალატს!

შე ავაზაკის მეინახევ, შე არაწმინდავ,

მითხარ, რად მოხველ?

ომარი

პატიება გახარო მინდა.

შენდობის ღირსად მიაჩნიხარ კაცი მხცოვანი,

ჭირგადახდილი, მამაცი და სახელოვანი.

იგი ხელს გიწვდის, თუმცა დამხობა შეეძლო შენი.

შემოგთავაზა მან მშვიდობა, ვითარცა ძღვენი.

საფირი

ეგ მეამბოხე ვით მიბედავს მე თავხედობას _

მშვიდობას მიძღვნის, როცა უნდა მთხოვდეს შენდობას!

ღმერთებო, ნუთუ არ გაოცებთ საქმე ამგვარი?

თურმე მშვიდობის მონიჭებას ლამობს მზაკვარი!

შენ კი, ვერაგის მოციქულო, ნეტავ ვიცოდე,

გული თუ გიგრძნობს, რომ სირცხვილით უნდა იწვოდე?

განა არ იცი მისი ფასი და მისი წონა?

თუ აღარ გახსოვს, რომ ხოხავდა მტვერში, ვით მონა?

მაშინ სიზმარშიც ვერ ნახავდა ის ამ დიდებას.

ომარი

ამპარტავანი შენი სული როგორ მიწვდება

მის სულდიდობას, მის სიკეთეს, კაცთმოყვარეობას.

ბედად ეღირსე შენ უეცარ გამოდარებას,

აღზევდი კიდეც, მაგრამ შენი ზრახვა მცდარია:

როგორ არ გესმის, რომ უმწეო ნემსიპარია

და მთის არწივი, ლაჟვარდებს რომ მეფურად ეტრფის,

არრა არიან ორივენი წინაშე ღმერთის.

ყველა მოკვდავი თანასწორი, თანაბარია,

განსხვავებული მამაცობით ოდენ არიან

და არა მოდგმით. მუჰამედი ის რჩეულია,

ღმერთთა შეწევნით, ვისაც თავის გზებით უვლია.

ასეთი კაცი ავირჩიე მე მასწავლებლად.

მხოლოდ ის არის ღირსი, იჯდეს ქვეყნის მბრძანებლად.

ყველა მოკვდავმა მას უნდა სცეს ბოლოს თაყვანი.

სამაგალითოდ, ვარ პირველი იმათთაგანი.

საფირი

ვიცი, ვინცა ხარ და იცოდე, ამაოდ ცდილობ,

ფანატიკური ნაბოდვარით რომ შემაცდინო.

ჩემი გონების დაბნელებას ეცდები ნუღარ.

რაც უფრო გიყვარს მუჰამედი, მით უფრო მძულხარ.

სძლიე ცდუნებას და განსჯიდე საღი გონებით

„წინასწარმეტყველს“, აგრერიგად რომ ემონები.

ხორციელ კაცად მიიჩნიე, მიხვდები მაშინ,

ვინ გააღმერთე და დიდებით ვინ აგყავს ცაში.

თვალთაგან ბინდი მოიშორე, განვსაჯოთ ერთად.

შენი ბატონი _ კაცი, ვინაც იწამე ღმერთად,

იყო უვიცი, ერთი ვინმე აქლემთა მძღოლი,

ვინაც ცრურწმენით გააბრიყვა პირველი ცოლი,

ვინც სულელური არაკებით გაბრუებული

ბრბო მიიმხრო და გაიჩინა ხალხი ერთგული.

ბოლოს მომგვარეს მეამბოხე ქვედამხობილი.

მის ბრჭედ ორმოცი უხუცესი მყავდა ხმობილი.

იგი მექიდან განიდევნა იმათი ნებით.

მაგრამ სასჯელმა ლმობიერმა შეასხა ფრთები

და ამის შემდეგ დღენიადაგ ფატმასთან ერთად

ნაძირალების ბუნაგებში დაწანწალებდა.

შემოიკრიბა მიმდევრებად ბნელი ბრბოები,

ვისაც სამყოფლად მიუსაჯეს უდაბნოები.

უგუნურება მათ შერაცხეს ღვთიურ განგებად.

თვით მედინაც კი მოგვიწამლეს ავაზაკებმა.

მაშინ შენ, თვითონ შენ მოუხმე გონებას ნათელს

და საწამლავის გაქარწყლება მაშინვე სცადე.

ვაგლახ, გიცნობდი სამართლიან, ბედნიერი გმირად.

წინათ ებრძოდი, ახლა მონად გაუხდი ტირანს.

თუ მოციქული არის იგი, ხელყავი ვითარ?

თუ ცრუა, მარქვი, ცრუს ბატონად როგორღა იტან?

ომარი

მინდოდა დასჯა, მაგრამ ვეღარ შევმართე ხელი,

გულმა მითხრა, რომ მას დიდების გვირგვინი ელის,

რომ გაჩნდა, რათა დაამკვიდროს ბედნიერება,

დაიმორჩილოს და გარდაქმნას ქვეყნიერება.

და ამიხილა მოციქულის გენიამ თვალი!

მწვერვალებისკენ მიდიოდა იმის კვალი.

ვიხილე მარჯვე, მჭევრმეტყველი და მწყალობელი,

სამართლიანად დამსჯელი და კეთილმყოფელი,

მძიმე უღელში მასთან ერთად გულით შევები.

გარჯის ჯილდოა ტაძრები და სასახლეები.

მერწმუნე, შენებრ მეც ვიყავი დაბრმავებული.

შენც თვალს აგიხელს, თუ იქნები მისი ერთგული.

რა საჭიროა ეს სასტიკი გულმოდგინება,

ჩვენი მორწმუნე ძმებისა და ღმერთის გინება?

გმირის წინაშე დაიჩოქე, ნუღარას ერჩი.

ხელზე ემთხვიე, ვისაც მეხი უპყრია ხელში.

ის პირველია ქვეყანაზე, მე ვარ მის შემდეგ.

თუ მოგვემხრობი, შენც კარგ ადგილს გიბოძებთ, მენდე.

ბედს ეწევი და აღზევდები, ის რად ღირს მარტო,

მოემსახურო ღირსეულად შენს ახალ პატრონს.

კარგად განსაჯე _ რა ვიყავით, რანი ვართ ახლა!

ხალხი ბრმა არის და უძლური, რა იცის ხალხმა?!

ვინც ძლიერია, ხალხს ის სწამს და იგია ღმერთი.

თუ შენც მონობა არ გწადია, დაგვიდეგ გვერდით.

ერთად ავაგოთ ჩვენ დიდების ჩვენის ტაძარი.

ბრბოს ნუ მიჰბაძავ, ამაღლდი და დაეც თავზარი.

საფირი

მე კი მინდა, რომ შენს მუჰამედს, შენ და შენს მსგავსებს

ულმობელ რისხვად მოგევლინოთ, თავზარი დაგცეთ.

შერიფმა სენატს ვუღალატო, მაცდურს გისმინო?

ცრუ ვადიდო და მეამბოხე დავაგვირგვინო?

მან კარგად იცის, რას აკეთებს, რა გზითაც მიდის.

იგი ფრთხილია, ქედმაღალი და თანაც ფლიდი.

მეც შენებრ ვიცი მისი ფასი და მისი ნირი,

შეიძლებოდა გამხდარიყო ნამდვილი გმირი,

სიმართლისათვის რომ ებრძოლა, მაგრამ ფლიდია.

მოღალატეა, მისი ცოდვა მეტად დიდია,

ყველა ტირანზე სასტიკია ბატონი შენი.

მის ქველობაზე ნუ მომითხრობ დამტკბარი ენით.

რაც კი მადლი აქვს: ხელოვნება, ჭკუა და ნიჭი,

სულ ერთიანად შურისგების სახმილით იწვის.

დაუნდობელმა ომის ხვედრმა წაართვა ვაჟი _

მოვუკალ შვილი ჩემი ხელით და დავრჩი ვალში.

თვითონ მექიდან გააძევეს ჩემი დასტურით,

მიტომ გვაქვს ზიზღი ერთმანეთის წრეგადასული.

ვიდრე ცოცხალ ვარ, აქ ვერ მოვა, რაგინდ იძალოს,

ხოლო კანონმა ხამს ბოროტი არ შეიწყალოს.

ომარი

მუჰამედი კი შემოგხედავს მოწყალე თვალთ,

ოღონდ მიბაძე, სცან იმის ჭკუა და ძალი

და რაც სულთანთა დამარცხებით ვპოვეთ ნადავლი,

მიეც თვისტომთა, რომ სინდისთან იყო მართალი.

ვიცი, მშვიდობას და პალმირას ძვირად აფასებ,

რამდენიც გინდა, მოგვთხოვე და მოგცემთ.

საფირი

მაშ ასე,

გინდა მაცდუნო? ვერა, ბოროტ-მოქმედის მსგავსად

ვერ მოვიპოვებ მე მშვიდობას სინდისის ფასად.

გსურს, რომ პალმირა კეთილი და კდემით მოსილი

კვლავ იმ უღირსის მონა იყოს, მისი მორჩილი?

მე კი მინდა, რომ გამოვტაცო მუხანათ ტირანს,

ვინც კანონს თელავს და ზნეობაც არ უღირს ძვირად.

ომარი

ისე მექცევი, თითქოს შენთან მისთვის მოვედი,

რომ განმიკითხო, ვით მსაჯულმა ბოროტმოქმედი,

მელაპარაკე, ვით ღირსეულს, გული ნუ გერჩის _

შენს წინაშეა დიდებული ხელმწიფის ელჩი.

საფირი

მეფის გვირგვინი ვინ დაადგა, ვინ?

ომარი

გამარჯვებამ!

თუ არ სცემ პატივს, სანანებლად ბოლოს დაგრჩება.

დიდმა მპყრობელმა, ვინც მახვილით ჰპოვა დიდება,

აწ დამყარება მშვიდობისა თვითონ ინება.

საიბრის ახლოს დგას იმისი არმია ახლა

და ამ მშობლიურ კედლებს მალე მოელით ალყა.

ნუღარ ჯიუტობ _ ჯობს სისხლისღვრას დავუდოთ ზღვარი.

მუჰამედს უნდა გესაუბროს. იგი აქ არის.

საფირი

თვით მუჰამედი?!

ომარი

ის მოითხოვს...

საფირი

ოჰ, მოღალატევ!

მარტო რომ ვიყო აქ მბრძანებლად, მყისვე ჯალათებს

ჩაგაბარებდი და პასუხიც ეს იქნებოდა.

ომარი

ამაო არის ეგ ქადილი, საფირ, ეგ ბოდვა!

ძალა-უფლება, რადგან მარტოს არა გაქვს ხელთა,

რადგან განაგებ ტახტს საძულველ სენატთან ერთად,

მეც ავდგები და განსასჯელად სენატში წავალ.

საფირი

თან წამოგყვები, ვნახოთ, ვისი ნათქვამი გავა,

ჩემი, ვინც მამულს, კანონებსა და ღმერთებს ვიცავ,

თუ შენი, ღმერთის წამბილწველო და ქვეყნის რისხვავ!

მაშ, ამიმხედრდი, ვნახოთ, წყრომას ვით აირიდებ

და ვინ მოგისმენს მუჰამედის საჭურველთმტვირთველს.

(ფანორს)

წამომყე, ფანორ, ახლა შენი შეწევნა მინდა,

რომ მძიმე ტვირთი სამუდამოდ მოვიხსნათ მხრიდან,

რომ გავაქარწყლოთ მოღალატის ავი ზრახვები,

მოვუგრეხთ კისერს თუ ჩვენ თვითონ დავიმარხებით.

ჩემს სასარგებლოდ თუ გადაწყვეტს სენატი დავას,

ხალხს და სამშობლოს მოვაშორებ საძაგელ მტარვალს.

მოქმედება მეორე

სურათი პირველი

სეიდი და პალმირა

პალმირა

საპყრობილეში ჩემად ხილვად თუ გიხმო ღმერთმა!

ო, სეიდ, ნუთუ ხსნა მეღირსა და ისევ გხედავ!

სეიდი

როს მტერმა ჩვენმა საიბართან შენ წარგიტაცა,

იქიდან, სადაც მუჰამედმა კარვები დასცა,

დავრჩი უდაბურ მიდამოში ტანჯულ-გვემული,

მომაკვდავთ შორის ვეგდე შენგან დაშორებული,

დაოსებული, მიბნედილი, სასომიხდილი,

ვუხმობდი სიკვდილს, მაგრამ არსით ჩანდა სიკვდილი.

ძვირფასო ჩემო, როგორ მტანჯა მე შენზე დარდმა,

გული წყვდიადში ჩაიძირა, ნაღველით დადნა!

საფრთხეში იყავ, მოვსულიყავი უნდა მშველელად,

შურისძიების ჟამს ველოდი მოუთმენელად.

მეჩქარებოდა _ მომეხადა, მინდოდა ვალი,

სისხლი მწყუროდა და მერჩოდა კიდევაც ძალი.

დაწყევლილ ქალაქს ჩემი ხელით მივცემდი ხანძარს,

სადაც პალმირას თვალცრემლიანს ტყვეობა ტანჯავს.

წინასწარმეტყველს ამ დროს აზრი დაჰბადებოდა,

რომელს გონება მოკვდავისა ვერ ჩასწვდებოდა.

მექაში ომარს წარვგზავნიო, გადაეწყვიტა.

მძევალს ეძებდნენ, გავიფიქრე: „მეც ხომ ეს მინდა!“

გამოვეშურე და მეღირსა შეხვედრა შენთან.

ან გამოგიხსნი, ან ორივე მოვკვდებით ერთად.

პალმირა

სეიდ, ვიდრე შენ ჩემს ნუგეშად გამოჩნდებოდი,

გარდავიწყვიტე, დამტყვევებელს ჩემსას ვხლებოდი.

ვეახლე კიდეც, მორჩილებით ფეხთ ჩავუვარდი.

ვარქვი, ამ გულში ჩაიხედე, ჰქენ-მეთქი მადლი.

სული იქ დამრჩა, იმ ბანაკში და იმ მიწაზე,

საიდანც ჩემდა სავალალოდ გამომიტაცე,

გვედრი, გამიშვი, რაც ვიტანჯე, ნუთუ არ კმარა. _

ამას ვამბობდი და ცრემლები მდიოდა ღვარად.

უარი მითხრა. თავს დამეცა ზარი და გავშრი.

მზე დამიბნელდა და ჩამიქრა ნათელი თვალში.

ვერსით ვხედავდი ხელს, საშველად ჩემკენ გამოწვდილს.

გული გაცივდა უნუგეშო და შენც გამოჩნდი.

სეიდი

რომელი გულქვა ვერ მოალბო შენმა ცრემლებმა?!

პალმირა

საფირმა თითქოს შეისმინა ჩემი ვედრება,

თითქოს შევბრალდი, მაგრამ ბოლოს მაინც გაკერპდა

და ასე მითხრა: „ვერასოდეს წახვალ აქედან“.

სეიდი

ცდება მტარვალი, არ იქნები შენ დიდხანს ტყვედა,

თვით მუჰამედი და ომარი, მეც მათთან ერთად

(ვხედავ, მათ გვერდით მოვიხსენო სახელი ჩემი),

დავამსხვრევთ ბორკილს, რომ შეგაშროთ თვალებზე ცრემლი.

ჩვენი მფარველი მუჰამედი წმინდა ღმერთია.

ვინაც მედინას დაულეწა ციხე ერთიან,

იგი მექასაც დააჩოქებს ჩვენს ფერხთა წინა.

ომარი ახლა ქალაქშია, ხალხს თითქოს სძინავს,

ხმასაც არ იღებს, არც შიში აქვს და არცა ზიზღი,

არ არის იგი ანთებული მტრისადმი რისხვით,

ჩანს მუჰამედის ძლიერება, მისი დიდება

იწამა მექამ და მორჩილად ხვდება კიდევაც.

პალმირა

ვიცი, ვუყვარვართ ჩვენ მუჰამედს, დალეწავს ბორკილს,

გულებს ერთგულებს შეაერთებს, სიხარულს მოგვგვრის,

მაგრამ შორს არის იგი, მე კი ბორკილი მტანჯავს.

სურათი მეორე

პალმირა, სეიდი, ომარი

ომარი

მაგ ბორკილების დამსხვრევამდე ცოტაღა დარჩა _

უფალი გვწყალობს, მუჰამედი აქეთკენ მოდის.

სეიდი

თვით მუჰამედი?

პალმირა

დიდი მამა?

ომარი

სენატში ოდეს

ვლაპარაკობდი მუჰამედის წმინდა სახელით,

წარვსთქვი, „უებრო მეომარი, მტერთა მსახვრალი,

ღმერთის რჩეული, დიდებული ადამიანი _

აქ დაიბადა აწ მეფეთა მეფე სვიანი

და უარყოფა არ გაბედოთ, უხმეთ გონებას!

იგი არ მოდის ასაკლებად, დასამონებლად.

ნუთუ ქველობას, მფარველობას, მოძღვრებას უშლით?!

მას დამკვიდრება სიყვარულით სწადის თქვენს გულში“.

ჩემმა სიტყვებმა ააღელვა სენატი მეტად,

თითქოს მოვიმხრე და საფირი რჩებოდა კენტად.

იგი შეშინდა _ იმარჯვებდა გონება საღი,

გააფთრებულმა დასაყრდენად შეკრიბა ხალხი.

მეც გავეშურე მასთან ერთად. ყოველი ღონე

ვიხმარე. ბოლოს, როგორც იქნა, ბრბოს ჩავაგონე,

დავიმორჩილე და გაუღეს მუჰამედს კარი.

თხუთმეტ წელს იყო მამულს გარეთ, დღეს კვლავ აქ არის.

მხარს უმშვენებენ გამარჯვებას მარად ჩვეულნი

ალი, ამონი, ჰერსიდი და სხვანი რჩეულნი.

ცნობისმოყვარე უკან მისდევს მრავალთმრავალი,

ვისთვის უბადლო გმირია და ვისთვის _ მტარვალი.

ლანძღვა-გინებით და მუქარით ზოგნი ხვდებიან,

ზოგთაც სწამთ ღმერთად და ფეხებში უცვივდებიან.

დავაცხრეთ ხალხი ბობოქარი და განახელი

თავისუფლების, მშვიდობის და ღმერთის სახელით.

ცოფმორეული საფირი კი ბრაზისგან გაშრა,

ველარაფერი ვერ გააწყო, ამაოდ დაშვრა

და შუბლნათელი მუჰამედი ზვიადად მოდის,

მოარღვევს ბრბოს და ზეთისხილის უპყრია ტოტი.

მშვიდობა სუფევს: აგერ ისიც.

სურათი მესამე

მუჰამედი, ომარი, ალი, ჰერსიდი, სეიდი, პალმირა და ამალა

მუჰამედი

მოგმართავთ ისევ,

ძალაუფლება უმაღლესი თქვენით მაქვს მტკიცე,

ძალგულოვანო მურად, ჰერსიდ, ალი და ამონ,

ხალხს შთააგონეთ, მხოლოდ ჩემი ღმერთი იწამონ.

მუდამ რომ მისი ეშინოდეთ, იზრუნეთ ამად.

შენ აქ საიდან, სეიდ?

სეიდი

ჩემო მეფევ და მამავ!

წინ მომიძღოდა ერთგულს შენი მრისხანე ღმერთი.

მზად ვიყავი თავი გამეწირა, ხელმწიფევ, შენთვის.

ვერ მოვითმინე ბრძანებამდე.

მუჰამედი

გეთმინა უნდა.

ჩემი მსახური როს აჭარბებს, ირჯება ცუდად.

მე ღმერთის ნებას ვმორჩილდები, თქვენ კი _ ჩემს ნებას.

პალმირა

გთხოვ აპატიო, რომ არ ეყო მას მოთმინება.

ჩვენ ხომ შენს თვალწინ გავიზარდეთ, გავშალეთ ფრთები,

ვიყავით ორნივ ერთი გრძნობით გულანანთები.

ვაი რომ ბედმა განმიმზადა ცხოვრება მწარე!

რაც შენ და სეიდს გამოგაკლდით, ცრემლი მდის ცხარე

და მხოლოდ ახლა დავინახე ნათელი მზისა.

ნუ ჩამაშხამებ _ სიხარულის გამხადე ღირსად.

მუჰამედი

კმარა, პალმირა! ეგ ვედრება აღარ გჭირდება.

ნუღარას შიშობ, ნურაფერი გაგიკვირდება,

ვეღარც ლოცვა და ვეღარც ქვეყნის მბრძანებლის ვალი

ვერ დამავიწყებს, მუდამ თქვენზე მეჭიროს თვალი.

(სეიდს)

წადი ლაშქარში! შენ კი, ნორჩო პალმირა, გეტყვი:

მტერი არა გვყავს ქვეყანაზე, საფირის მეტი.

სურათი მეოთხე

მუჰამედი

მამაცო ომარ, დარჩი ჩემთან და ყური მიგდე,

მსურს, წვრილად გითხრა ყოველივე, რაც გულში მიდევს.

მაეჭვებს მე ეს ყოყმანი და თავშეკავება,

უნდა ავჩქარდეთ, მტრის ხაფანგში რომ არ გავებათ.

თვალახვეული ბრბო მანამდე არის ერთგული,

ვიდრე გონება გაეხსნება დაბნელებული.

ცრურწმენა უცებ ეუფლება ადამის მოდგმას!

ხოლო წინასწარმეტყველება და მითქმა-მოთქმა

ღმერთის მოციქულს გააცხადებს ქვეყნის მპყრობელად.

იტყვიან: ზეცამ მას უძლევი ძალა მოჰბერა,

გამარჯვებული მბრძანებელად მექამ ინდომა,

მოვიდა, რათა დაამყაროს ქვეყნად მშვიდობა!

ჩვენც ხომ ეს გვინდა. ახლა, როცა მქადაგებელნი

ბრბოს აბრიყვებენ, მოციქულის სიბრძნის მქებელნი,

ისევ პალმირა მიდგას თვალწინ სეიდთან ერთად.

ომარი

იმ ყრმათა შორის, ჰერსიდმა რომ ჩაიგდო ტყვედა,

ვინც შენ აღზარდე და მიიღე შვილებად შენად,

ვისაც სწამთ მხოლოდ შენი ღმერთი და შენი რწმენა,

არავინ არის შენთვის მათებრ თავდადებული,

მათზე მიმნდობი გულის მქონე არვინ მეგულვის,

მათზე მორჩილი მუსლიმანი მე არ მინახავს.

მუჰამედი

ომარ, მე მათზე დიდი მტერი არავინა მყავს.

ერთიმეორე უყვართ.

ომარი

მერე, შენ სამტრო რა გაქვს?

მუჰამედი

შენ ხომ არ იცი, როგორ ვიწვი, რა ცეცხლი მდაგავს.

ძალა წამერთო.

ომარი

რა გჭირს მაინც, ვერ გამიგია!

მუჰამედი

შენ კარგად იცი, ომარ, სული რითაც მიდგია _

გულში ვატარებ გამარჯვების საამო სურვილს,

გზას მივიკაფავ მუდამ საფრთხით გარემოცული.

მბრძანებელს, ღმერთის მოციქულს და მეომარს მმართებს

ფხიზლად ვიყო და ავიშორო ცდუნების ბადე.

უარვყავ ტკბილი საწამლავი, მისი სიამე,

რომელიც ღუპავს მოუთმენელ ადამიანებს.

უდაბნოს ხორშაკს, მცხუნვარებას შიშველთა კლდეთა,

ყველა გასაჭირს და განსაცდელს ვიტანდით ერთად.

სიყვარულიღა მაცოცხლებდა, მაძლევდა იმედს,

მიმსუბუქებდა რუდუნებას, ესოდენ მძიმეს.

იგი ხომ ჩემი კერპი იყო, ჩემი ბედიცა.

ის ერთადერთი ღმერთი იყო მუჰამედისა.

იგი მძაფრია, ვით სიშმაგე პატივმოყვარის

პალმირა ჰქვია, ვის წინაშე ქედი მოვხარე.

აწ შერცხვენის და ეჭვის ტვირთი უნდა ვიტვირთო.

მან მეტოქეზე მითხრა, ნაზი გრძნობით ვიწვითო.

ომარი

შურს არ იძიებ?

მუჰამედი

შურისგება მმართებს თუ არა,

თვითონ განსაჯე _ ვისი ზიზღიც გულში მაქვს მარად,

ის მტარვალია მათი მამა.

ომარი

ნუთუ საფირი?!

მუჰამედი

მოვატაცინე ყრმანი ჰერსიდს და შესაფერი

პატივით მყავდა შენახული. მზრუნველი ხელი

არ მომიკლია; ასე ვზარდე თხუთმეტი წელი.

უბეში გველის წიწილები მითბია თურმე.

არც კი უწყიან, ვით მარცხვენენ სიკეთის მსურველს,

ერთმანეთი რომ შეუყვარდათ, ჩემი ბრალია.

მაგრამ... იმათი მამა მოდის, რარიგ მწყრალია!

თვალში უსაზღვრო სიძულვილის უნთია ალი.

გასწი და ჰერსიდს უთხარ, ფხიზლად ადევნოს თვალი,

თავისი რაზმით შემოსასვლელ კარს უდარაჯოს.

რომ დაბრუნდები, ვითათბიროთ ერთად თუ რა სჯობს;

ნუ დავაყოვნებთ, მოვუთავოთ ახლავე ხელი,

თუ შემდეგისთვის შევურჩიოთ დრო ხელსაყრელი.

სურათი მეხუთე

საფირი, მუჰამედი

საფირი

რა ბედკრული ვრ, რა ულმობლად ვარ გულმოკლული _

ვაგლახ, სტუმრად მყავს ხალხის მტერი, ხალხის ორგული.

მუჰამედი

ზეცამ შეგვყარა, კაცთა ბედს ხომ ზეცა განაგებს,

ნუ გაწითლდები, გაბედულად მელაპარაკე.

საფირი

მე კი არა და _ გაწითლება გმართებდა ტირანს,

ვინაც სამშობლო მიიყვანე დაღუპვის პირას.

თესავ სიავეს, არ ახარებ სიკეთის მნდომელს,

მშვიდი ცხოვრება წაგვართვი და აჩაღებ ომებს.

ეგ შენი ჭირი ოჯახებმაც ვერ აიცილეს _

შენ გადაჰკიდე ცოლი _ ქმარს და დედ-მამა _ შვილებს.

არ ვიცი განა? _ შენი ზავიც თვალთმაქცურია.

ზავითაც ჩვენთვის გულში დანის გაყრა გწყურია,

შენს ნაკვალევზე მე შუღლის მსხვერპლს ვხედავ უამრავს.

ენითუთქმელი თავხედი ხარ და მატყუარა.

ჯალათო, ასე გსურს განაგო სამშობლოს ბედი?

ეს არის შენი მშვიდობა და ახალი ღმერთი?

მუჰამედი

საფირ, ის, რასაც სხვას ვეტყოდი, შენთვის არ მეთქმის,

თორემ ამ ბაგით მოგიგებდა პასუხს თვით ღმერთი.

სისხლიან ხელში მახვილის და ყურანის მპყრობელს

ძალმიძს ვარწმუნო ჩემი ძალა ურწმუნოს ყოველს.

ჩემი ხმა ხაფი უქუხებდა, ვით ზეცის გრგვინვა

და იხოხებდნენ განდგომილნი ჩემს ფერხთა წინა.

შენთან გულწრფელი საუბრისა ვიყავ მსურველი,

მე ხომ დიდი ვარ და სიცრუეს ჩემგან ნუ ელი.

სცან, როგორია მუჰამედი _ პირისპირ ვდგავართ.

პატივმოყვარე ვარ და ამით მეც ყველას ვგავარ,

მაგრამ არასდროს და არავის _ მეფეს თუ სარდალს,

მე რომ მაქვს, ეგზომ დიდებული ზრახვა არ კლავდა.

მითხარ, ამქვეყნად არ ბრწყინავდა ხალხი რომელი

კანონებით ან ხელოვნებით; უფრო _ ომებით?

აწ დადგა ჟამი არაბეთის აყვავებისა.

ამ დიდ ხალხს თავის გამოჩენა ჯერ ვერ ეღირსა,

იგი მარხავდა უდაბნოში თავის დიდებას,

ახლა იმარჯვებს და მიზანსაც მალე მისწვდება.

არვის უნახავს ქვეყანაზე ნგრევა ასეთი _

გადათელილი ჯერაც სისხლში ცურავს სპარსეთი,

ინდოეთმა და ეგვიპტემაც მოხარეს ქედი,

კონსტანტინეპოლს წაქცევია დიდების სვეტი.

რომიც დანგრა _ ქვეყანათა დიდთა მოცილე!

ამ ნანგრევებზე ჩვენ არაბეთს ავაღორძინებთ!

ბრმა სამყაროსთვის საჭიროა რწმენა ახალი,

სხვა ბორკილები და ახალი ღმერთი მაღალი.

ეგვიპტელები ოზირისის ლოცვად დგებიან,

აზიელები ზოროასტრზე მლოცველებია,

კრეტას _ მინოსი, იტალიას ნუმა ჰყავს ღმერთად,

ურწმუნო ხალხი თავნებობას ადვილად ბედავს.

ლმობიერებით ვერასოდეს დათრგუნავ ამ ხალხს

და ამიტომაც მე მივმართე კანონებს ახალს.

ახალი უღლით მორწმუნენი ვაბედნიერე,

კერპები მოვსპე და მათ ნაცვლად აწ ჩემს მიერვე

შექმნილი რწმენა მომავალში გვირგვინს დამადგამს.

სასაყვედურო არაფერი მგონი არა გაქვს.

ჩემი ხალხისა და სამშობლოს ერთგულად ვრჩები

მე მოვსპე მხოლოდ დამთხვეულნი და ყეყეჩები.

ხალხს ერთი ღმერთი და ხელმწიფეც ერთი სჭირდება

და მორჩილებით მოიპოვებს იგი დიდებას.

საფირი

თურმე რა ზრახვა ჩაგიდია გულში! ეგება

გჯერა, რომ შეცვლი შენს ჭკუაზე ქვეყნიერებას?

ხოცვა-ჟლეტით და დაშინებით, საქმითა ბნელით

გინდა შენს ნებას დამორჩილდეს ქვეყანა მთელი?

ნგრევით აპირებ განა თავის გამოჩინებას?

ნგრევით ეგების განა ხალხის აღორძინება?

თუ აუხვია ცდუნებამ და სიცრუემ თვალი,

გზას თუ ასცდა და დაეკარგა წყვდიადში კვალი,

შენი კოცონი განა შუქად გამოადგება?

რომ ქადაგებ და ტახტს მიელტვი, ვინ მოგცა ნება?!

მუჰამედი

მე ეს უფლება მოვიპოვე დიდი გონებით.

გონებაჩლუნგნი _ უნდა იყვნენ ჩემი მონები!

საფირი

მაშ განა ყველა მეამბოხე, თავხედი ყველა

მოკვდავთ მონებად უნდა თვლიდეს, თავს კი _ მათ მხსნელად?

სიცრუე მაინც სიცრუეა, ლამაზად თქმულიც.

მუჰამედი

მე ვიცნობ შენს ხალხს, ტყუილზე რომ მიუდის გული,

ცრუ იყოს, გინდა ჭეშმარიტი _ რწმენა სჭირდებათ.

რა მოგანიჭათ ნეტავ თქვენთა ღმერთთა დიდებას?

დაფნის გვირგვინებს მათ ტაძრებში ამაოდ ელი.

ამდაბლებს მოკვდავთ შენეული კანონი ბნელი.

ჩემი კი სულით აღამაღლებს და ძალას მატებს,

წარმოშობს გმირებს.

საფირი

არა! ტყუი _ ყაჩაღებს ბადებს!

წა, სხვაგან წადი მტარვალობის საქადაგებლად.

წა მედინაში, რომ აცდუნე და გაგამეფა!

იქ მოუთმენლად მოგელიან შენი ერთგულნი,

შენი სწორები _ უვიცობით დაბრმავებულნი.

მუჰამედი

მთელ ქვეყანაზე ჩემი ტოლი არ არის არსად _

ხელმწიფედ ვზივარ მედინაში, მექას ვცემ თავზარს.

მიიღე ზავი, თუ სიცოცხლე გწყურია კიდევ.

საფირი

ეგ ცარიელი სიტყვებია, გულში სხვა გიდევს.

ვერ მომატყუებ!

მუჰამედი

არც მჭირდება და კარგად სცან ეს:

მარტო ლაჩარი ტყუის, ხოლო ძლიერი ბრძანებს.

ჯობს ჩემი თხოვნა აღასრულო დღეს შენი ნებით,

თორემ ხვალ უღელს დაგადგამენ ჩემი ბრძანებით.

დღეს მე მწადია, რომ საფირი მეგობრად მყავდეს.

საფირი

რას მეუბნები! აჰ, რა დიდი პატივი დამდე,

ვინ შეძლებს ამას ან რომელი ღმერთის წყალობა?

მუჰამედი

არსებობს ძალა!

საფირი

რა, რა ძალა?

მუჰამედი

გარდუვალობა

და სარგებელი.

საფირი

ვერა, ჩემთან ვერ შეკრავ კავშირს!

უფრო ადვილად ქვესკნელის და ცის საზღვარს წაშლი!

ღმერთად ვიწამე მე _ სიმართლე, შენ _ ანგარება,

მითხარ, მათ შორის ძაფი როგორ უნდა გაებას?

ჩვენ მეგობრობას რა შეკრავს და შეადუღაბებს?

იქნება ვაჟი შენი, მე რომ დღე დავუღამე?

იქნება სისხლი შვილთა ჩემთა, შენ რომ დაღვარე?!

მუჰამედი

შენი შვილები! ამდენი ხნის ტანჯვას გაკმარებ.

მათი ამბავი იდუმალი მე ვიცი მარტო.

ამაოდ სტირი დღენიადაგ, აწ ნუღარ დარდობ,

რადგან ორივე ცოცხალია, უნდა გახარო!

საფირი

ცოცხალიაო?.. ნუთუ მართლა?.. ღმერთო მაღალო!

შენ მეუბნები მერე ამას და ისიც მართალს?

მუჰამედი

ორივე ჩემთან ტყვეობაში გამოიზარდა.

საფირი

დაიმონე და დილეგში გყავს გამომწყვდეული?

მუჰამედი

მე თვითონ ვზრდიდი, ჩემს ფერებას იყვნენ ჩვეულნი.

საფირი

რად არ იძიე შური, ესეც გამაგებინე.

მუჰამედი

მე მამისათვის შვილებს პასუხს არ ვაგებინებ.

საფირი

მიამბე ბარემ ყველაფერი, მიამბე ჩქარა!

მუჰამედი

შენი ნებაა _ გინდ აცოცხლებ და გინდა არა _

მათი სიცოცხლე შენს ხელთ არის, შენზე ჰკიდია.

საფირი

ოღონდ ვუშველო, ყველა ტვირთი კისრად მიდვია.

თუნდ მათ ბორკილებს მე ვატარებ, მომკალი თუნდა.

მუჰამედი

არა, ამ ქვეყნის მოქცევაში მიშველო უნდა.

მექა დამითმე და ტაძრები დატოვე, რათა

ამ მაგალითით ჩემი ძალა ირწმუნონ სხვათა.

ბრბოს გაბრუებულს უქადაგე ყურანი ჩემი,

იყავ ერთგული და მომეპყარ თაყვანისცემით.

სამაგიეროდ, ვაჟს იპოვი, შეიძენ სიძეს.

საფირი

მიყვარს შვილები, მკერდში გული სათუთი მიძგერს.

თხუთმეტ წელიწადს დარდი მკლავდა შხამში ნალესი,

სიცოცხლედ მიღირს მათი ხვევნა, მათი ალერსი,

მაგრამ თუ შენი კერპი უნდა მე ვაღიარო

და წინაპართა წაღმართი გზით აღარ ვიარო,

თუკი სასწორზე სამშობლო და შვილები დადეს,

არჩევანის დროს არ შევდრკები წამითაც, გწამდეს.

მშვიდობით.

მუჰამედი

კერპო ბერიკაცო, მაგ გაჯიქებას

მწარედ ინანებ, მაგრამ გვიან იქნება უკვე.

სურათი მეექვსე

მუჰამედი, ომარი

ომარი

ჩქარა, მუჰამედ, დავაღწიოთ განსაცდელს თავი _

ვცან ტირანების იდუმალი განზრახვა ავი,

გათენებისას დაზავება დაჰკარგავს ძალას.

დღისით საფირი შეგიპყრობს და გადაგცემს ჯალათს.

უმრავლესობა სენატისა შენს დასჯას ითხოვს

გმირს ვერაგულად მოგკლავენ და დაგსაჯეს თითქოს.

მათ შეთქმულებას „სამართალი“ ჰქვია სახელად.

მუჰამედი

სამართლიანად განვიკითხავ, ვინც გამახელა.

დღე დღევანდელი მე მომიტანს ახალ დიდებას,

საფირს კი _ სიკვდილს.

ომარი

როცა თავი ტანს მოსცილდება

და დაგორდება შენს ფეხებთან, ფარ–ხმალს დაყრიან.

მუჰამედი

თუმცაღა რისხვამ მთლად ამანთო და ამამღვრია,

უნდა დავმალო დამთრგუნველი ხელი დროებით,

თუ არა, ეჭვით შემხედავენ ბნელი ბრბოები.

ომარი

რას დაგვაკლებენ?

მუჰამედი

უნდა ვიყოთ მისანდობელნი!

რადგან მჭირდება მე ამჟამად კაცი, რომელიც

ერთგულია და შემიძლია მკვლელობა ვანდო.

ომარი

სხვას ვერვის გირჩევ, სეიდია ასეთი მარტო.

მუჰამედი

სეიდი?

ომარი

სწორედ იგი არის ზედგამოჭრილი,

მძევალია და თანაც ჩვენი მონა–მორჩილი.

ის აღასრულებს უყოყმანოდ ჩვენს ყველა სურვილს.

მოკლავს საფირს და ნაძიები გექნება შური.

სხვებიც არიან განუზომლად შენი ერთგულნი,

მაგრამ დროულნი და გონებამომწიფებულნი.

საქმე ამგვარი მათთვის უკვე აღარ ინდობა,

რადგანაც თავი დააღწიეს მიამიტობას,

გვინდა ჭაბუკი, მამაცობით გატაცებული,

მონის უღელში ხალისით რომ არის შებმული,

სეიდი, ტკბილი ოცნებებით გაბრუებული,

რომელიც შენზე ლოცულობს და ღმერთად ეგულვი.

მუჰამედი

პალმირას ძმაზე მეუბნები?

ომარი

სწორედ ის არის,

გულადი ვაჟი შენი მტრისა და მოსისხარის.

სისხლისშემრევი, აწ მეტოქე შენი და მონა.

მუჰამედი

მძაგს! ნეტავ მისი სახელიც კი არ გამაგონა!

შურისძიებად მიხმობს შვილი, მაგრამ შენ იცი,

რა უკუღმართი სიყვარულით ეს გული იწვის,

ანდა როგორი მაკავშირებს მასთან ძაფები,

რისთვის მოვედი ამ მხარეში, რას ვესწრაფები _

მე მინდა ტახტი, განმტკიცება ახალი რწმენის,

ხალხს გავაბრიყვებ, რომ მიიღოს კანონი ჩვენი.

ჯერ საფირი და მისი ვაჟი მოისპონ უნდა,

რომ არ წავიდეს განზრახული საქმენი ცუდად.

სიყვარული და შურისგება ორივ მშველიან.

მწყალობენ _ რწმენა, ფხა, რომელიც ეგზომ მჭრელია,

გარდუვალობა, ყოველივეს წყვეტს რომლის ძალაც.

მოქმედება მესამე

სურათი პირველი

სეიდი და პალმირა

პალმირა

დაიცა, მანდე საიდუმლო, აგრე რომ მალავ.

ზეცის სამსჯავროს ვისი სისხლი მოსწყურდა კიდევ?

ნუ მტოვებ მარტოდ.

სეიდი

ღმერთი მიხმობს! მზადა ვარ კიდეც

მის სამსახურად მახვილით და გულითა ფიცხით.

ომარს სურს მძლეთა მძლეს შევეკრა ურღვევი ფიცით.

პატივს ამაზე საოცნებოს არც ველოდები

და უზენაესს შევფიცავ, რომ მისთვის მოვკვდები!

პალმირა

განა მე არ ვარ ღვთისმოსავი, მისი მქებელი?

ნუ მომშორდები, მომაშორე სადარდებელი.

თორემ ომარი მზაფრავს _ შიში ამეკვიატა,

ერთს და იმავეს იმეორებს იგი ნიადაგ:

სენატის რისხვა, ვერაგობა, სისხლი, ღალატი...

ამბობს: _ საფირი შეთქმულია და მუხანათი!

განთიადისას იწურება ვადა ზავისა. _

ემზადებიან, იარაღი ყველამ აისხა.

მე საფირისა მეშინია, თავს გაუფრთხილდი.

სეიდი

დილით წარვუდექ და შემომხვდა იმგვარი რიდით,

ისე კეთილად, ღირსეულად, თავაზიანად,

რომ მყის ვიწამე კეთილშობილ ადამიანად.

მისი დახვედრით ისე ვიყავ გახარებული,

რომ უნებლიედ მიიზიდა მან ჩემი გული.

მისმა დიდება, ანაგებამ, თუ მისმა მზერამ

მომაჯადოვა. არ, არ ჰგავდა საფირი ვერაგს.

ანდა იქნება, შენი ნახვით ეგზომ შვებული

ვივიწყებ საფრთხეს, სიხარულით დაბრმავებული?

მხოლოდ, საფირთან ყოფნა ეგზომ სასურველია!

მე უნდა მძულდეს იგი, მაგრამ რარიგ ძნელია

ადამიანურ კეთილ გრძნობას გულში იკლავდე,

გძულდეს ის, ვინაც გიზიდავს და გინდა გიყვარდეს!

პალმირა

აჰ, ნეტავ ზეცამ სამუდამოდ ჩვენ შეგვაერთოს!

შენ გევედრები, ნურასოდეს ნუ გაგვყრი, ღმერთო!

რომ არ მიყვარდე, ჩემი გული შენთვის არ ძგერდეს,

შენი ერთგული რომ არ ვიყო სიკვდილის დღემდე

და საყვარელი მუჰამედის რწმენა რომ არა,

საფირს ვერასდროს ვერ დავდებდი მზაკვრობას ბრალად.

სეიდი

ნუღარას ვნანობთ. ღმერთს მივენდოთ. ის მოგვიწოდებს,

ჩვენც ხომ მას გვინდა ვემსახუროთ, მისთვის ვიწვოდეთ.

მივდივარ, რათა ფიცი იგი საბედისწერო

მისმინოს ღმერთმა და ორივე გვაბედნიეროს,

ხოლო ხელმწიფე, მშობლიური ზრუნვით რომ გვზრდიდა,

გახარებული დაგვილოცავს სიყვარულს წმინდას.

მშვიდობით იყავ! ნუ იდარდებ, გვფარვიდეს ღმერთი.

შეუძლებელსაც შევძლებ, ჩემო ძვირფასო, შენთვის.

სურათი მეორე

პალმირა

გულს რად მიღონებს წინათგრძნობა შეუცნობელი?

სიყვარულს ჩემსას აღსასრული ხომ არ მოელის?

რა უცნაური, უკუღმართი დღე გამითენდა?!

რა აღთქმა უნდა აღასრულოს სეიდმა ნეტავ?

საფირს ხვაშიადს ვერ გავანდობ, რადგან მაშინებს,

ხოლო მუჰამედს რომ ვახსენებ, გული მაშინვე

შემეკუმშება ზარდაცემულს, მერთმევა ძალი.

მაშინაც, როცა ვარ მისდამი აღსავსე კრძალვით,

შიშსა მგვრის იგი უფრო მეტად, ვიდრე საფირი.

მიხსენ, უფალო, და მაღირსე მყუდრო ნაპირი.

ბრმად მოგენდე და მიმსახურე ისე, ვით დღემდე

და ცრემლთა ზღვაში დასახრჩობად ნუ გამიმეტებ.

სურათი მესამე

მუჰამედი, პალმირა

პალმირა

მოწყალე ღმერთმა გამოგგზავნა საშველად ჩემდა.

შენს გარდა მხსნელი არვინ მივის, ვერავის ვხედავ.

ჩემო ბატონო, სეიდს...

მუჰამედი

რად ხარ აღელვებული?

მას რად იგონებ, მე მახლობლად როცა გეგულვი?

პალმირა

ო, ღმერთო ჩემო! შიშით რად არ გასკდება გული!

თავგზა ამებნა. არც შენ ჩანხარ დამშვიდებული.

არ მინახიხარ არასოდეს მშფოთვარე აგრე.

მუჰამედი

შენი ბრალია: მოსვენება შენ დამიკარგე!

ნუთუ გამიმხელ მიამიტად, გულუბრყვილობით,

რომ შენი გული იტანჯება ტკბილი ჭრილობით,

რომ დანებდი და დაემონე იმ მაცდურ გრძნობას,

რომელიც იქნებ მე მაყენებს შეურაცხყოფას.

ჩემი ერთგული გული იქნებ გამოგეცვალა,

აღარ მიმადლი სიკეთეს და მიბედავ ღალატს?!

პალმირა

რას ამბობ! მე ხომ შენთა ფერხთა მტვერი ვარ ოდენ,

შიშისგან თვალსაც ვერ გისწორებ, ძალა არ მომდევს.

შენივე ნებით გაგიმხილეთ გრძნობა ფარული.

არ დაგიძრახავს მაშინ ჩვენთვის შენ სიყვარული.

ჩვენ წმინდა გრძნობით შეგვაერთა მაღალმა ღმერთმა

და უფრო მკვიდრად გვაკავშირებს ჩვენ იგი შენთან.

მუჰამედი

დაუფიქრებლად ნუ აჰყვები მაგ მაცდურ გრძნობას,

ნუ დაივიწყებ, ცოდვა მოსდევს გულუბრყვილობას.

თუ გული შეცდა, აღარც ტრფობა იქნება მყარი

და ნეტარებას შეცვლის სისხლის და ცრემლის ღვარი.

პალმირე

ნუ გეფიქრება. სეიდისთვის თავს გავიმეტებ.

მუჰამედი

თავდავიწყებით გყვარებია.

პალმირა

მიყვარს მას შემდეგ,

რაც რომ ჰერსიდმა რწმენას შენსას ჩვენც გვაზიარა.

როგორ შეგვიპყრო ვნებამ, არა გაგვიგია რა.

გრძნობა გონებას წინ უსწრებდა და ჩვენთან ერთად

ისიც თანდათან იზრდებოდა და მხოლოდ ღმერთმა

უწყოდა ჩვენი ხვაშიადი და განა ახლა

დაგმობს სიყვარულს, გულში თვითონ რომ ჩაგვისახლა?

უმანკოებას ნუთუ ბედი არ უწერია

და ნუთუ იგი საკუთარი თავის მტერია?

შევცოდე განა?

მუჰამედი

ჰო, შესცოდე. პალმირა, მალე

ჭეშმარიტება საზარელი აგიხელს თვალებს _

როს საიდუმლოს გავამჟღავნებ, გეცვლება ფერი,

მანამდე გეტყვი, ვინ გწყალობს და ვინა გყავს მტერი.

მხოლოდ მე მენდე.

პალმირა

თუ არა შენ, ვისღა მივენდო?

მე მხოლოდ შენი სიტყვა მჯერა, ჩვენო იმედო.

შენი ამაგი სანთელივით თვალწინ მინთია.

მუჰამედი

მაგრამ ყველანი მადლს სიკეთით როდი მიხდიან.

პალმირა

შენი სიკეთე თუ ოდესმე გადამავიწყდეს,

სეიდის ხელით ულმობელად აქვე დავმიწდე.

მუჰამედი

სეიდის ხელით?!

პალმირა

აგრერიგად რამ გაგარისხა!

მუჰამედი

ნუ გეშინია, გამოგცადე, მაგრამ არისღა

საეჭვო შენი ერთგულება? სრულიად არა.

მეც ვიყავი შენი ერთგული და ვიქნები მარად.

მე ახლა თქვენი მორჩილება ძლიერ მჭირდება.

დამიჯერე და _ შენი ბედიც ამობრწყინდება.

მაშ, იყავ ღირსი დიდებისა, რომელიც გელის,

დაე შენს ნებას დამორჩილდეს სეიდის ხელი,

შთააგონე, რომ შეასრულოს ღმერთის ბრძანება.

პალმირა

გწამდეს, სიცოცხლე ჩემთვის მას არ დაენანება.

მისებრ ერთგული ქვეყნად არვინ არ მეგულება.

ჩემს სიყვარულზე მეტად შენი სჭირს ერთგულება.

შენა ხარ მისი მეფე, მამა და მისი ბურჯი.

აჰა, მივდივარ, შენი სიტყვა ჩავიდე გულში,

რომ მისი გული მამაცობის ცეცხლით ავანთო.

სურათი მეოთხე

მუჰამედი

მან უნებლიედ ხვაშიადი თვისი გამანდო!

გული მომილბო მე პალმირას გულუბრყვილობამ.

რა ორლესულით მომაყენა მწარე ჭრილობა!

მამა და შვილნი გაჩენილან, ვაგლახ, ჩემს მტრებად,

რათა სამივემ დამატეხოს უბედურება.

მაგრამ ნახავენ დღეს ისინი, რა ძალაც მერჩის,

რა სიძულვილი და რა ტრფობა მძვინვარებს მკერდში.

სურათი მეხუთე

მუჰამედი, ომარი

ომარი

აჰა, ამდენ ხანს რომ ელოდი, ის ჟამი რეკავს _

საფირის მოკვლით დაიუფლებ პალმირას, მექას,

ბრბო დაგიჩოქებს, როს შეიტყობს საფირის სიკვდილს.

თუ არ აჩქარდი, შენვე საფრთხე მოგელის დიდი.

სეიდს მიენდე, აკი თვითონ გაზარდე გმირად.

ის იცნობს საფირს და საუბრობს მოხუცთან ხშირად.

ა, იმ ტაძართან, შესასვლელი ჩაბნელებული

გზაა საფირის სასახლისკენ. კერპთა ერთგული

ილოცებს ღამით, მაგრამ ლოცვა ვეღარ უშველის,

რადგან სეიდი, მოთაყვანე შენი უცვლელი,

ბატონის ნებას აღასრულებს დაუფიქრებლად

და საფირის თავს შენს წმინდა ღმერთს შესწირავს მსხვერპლად.

მუჰამედი

დე, აგრე იყოს _ აღასრულოს მონამ ღვთის ნება,

იგი მკვლელობის ჩამდენიც და მსხვერპლიც იქნება.

ჩემი კანონი, შურისგება და ცეცხლთა დება

საბედისწერო განაჩენად თავს დაატყდება.

ფანატიკური გაშმაგება ხომ არ გაუვლის?

ხომ არ შედრკება მისი ხელი ზეაღმართული?

ომარი

მხოლოდ სეიდი აგისრულებს სურვილს და ნებას,

ხოლო პალმირა წააქეზებს შენს საამებლად.

ფანატიზმით და სიყვარულით გახელებული,

მსხვერპლს უყოყმანოდ მიეჭრება გამხნევებული.

მუჰამედი

ისიც მითხარი, ერთგულების ფიცი ხომ მოგცა?

ომარი

საკურთხეველთან აღავლინა მხურვალე ლოვა

და დაიფიცა, რომ არასგზით აღთქმას არ გასტეხს.

უფრო საზარი არ მსმენია აღთქმა მანამდე.

მერე მამის მკვლელს ჩავაბარე წმინდა მახვილი.

ისეც აღგზნებულს სწვავდა ჩემი ლოცვის სახმილი.

ჰა, მოდის კიდეც!

სურათი მეექვსე

მუჰამედი, ომარი, სეიდი

მუჰამედი

ძეო ღვთისა! ვინც გულში გვწვდება,

სურს ჩემი ბაგით გაგიცხადოს შენ წმინდა ნება,

აჰა, უწყოდე _ შურისგებას გავალებს ღმერთი!

სეიდი

ჩემო ხელმწიფევ, მოციქულო, მე რაღა მეთქმის,

ცით მოვლენილო ხალხის მოძღვრად და ხალხის მხსნელად,

მზად ვარ მორჩილად აღვასრულო ბრძანება ყველა.

ვისზე ვიძიო შური, მითხარ!

მუჰამედი

უფალი ელის,

რომ დაისჯება უგუნური დღეს შენი ხელით.

სეიდი

მაღალმა ღმერთმა შენი ბაგით თუ ჩამაგონა _

დიად ბრძოლაში ვიმამაცო უღირსმა მონამ.

მუჰამედი

ღვთის მორჩილება მოგანიჭებს მოკვდავს დიდებას,

შენ აღსრულება გმართებს, განსჯა არ გეკითხება,

გიყვარდეს ღმერთი, ნეტარებას რომ გაზიარა,

გახსოვდეს იგი, როს მტერს ჩასცემ ღვთიურ იარაღს.

სეიდი

მაუწყე, უფალს ვისი მოკვლა უნდა ვახარო,

ვინ არის იგი, ვისი სისხლიც უნდა დავღვარო.

მუჰამედი

იმ მკვლელის სისხლი, ვინაც მძულს და მტერია ჩვენი,

ვინაც გვდევნიდა ყოველთვის და ახლაც რომ გვდევნის,

ვინც ღმერთს მიძაგებს თავხედი და გონებაბნელი,

ვინაც მომიკლა ვაჟიშვილი ბოროტი ხელით _

ჩემი მოსისხლე საფირია.

სეიდი

მოვკლა საფირი?!

მუჰამედი

კიდეც ყოყმანობ და მგონია, კამათს აპირებ.

როცა მამაცი მეომარი იწყებს მსჯელობას,

ეს ლაჩრობაა, ღვთის გმობაა და მკრეხელობა.

არ გავიკარებ მას, მამაცი იყოს, რაც უნდა,

ვინც ვერ სწყვეტს საქმეს ისე, თვითონ თუ არ დარწმუნდა.

არ გაჩენილა რწმენისათვის, ფიქრს ბედავს ვინაც!

ის, ვინც უსიტყვოდ მორჩილია, დიდებით ბრწყინავს!

იცი, ვინა ვარ? მიპასუხე, თუ იცი–მეთქი,

რისთვის მეტყველებს ჩემი ბაგით მაღალი ღმერთი?

იცი, რად იქცა მაშრიყელთა სამშობლოდ მექა?

და რისთვის მინდა, მეფის ტახტი მექაში მედგას?

მოძღვართა მოძღვრად აქ უფალმა რად განმაწესა,

რად არის წმინდა ეს ადგილი, ყველა რომ ესავს,

ყველა რომ მოდის სალოცავად, ყველა მოელტვის?

მიტომ, რომ სწორედ აქ მარხია აბრამის ნეშტი _

სისხლის კივილი გულში ღვთისთვის ჩაიკლა ვინაც

და პირმშო თვისი მიიყვანა სამსხვერპლოს წინა.

შურისძიებად ღმერთი გიხმობს _ გაგხადა ღირსი.

მე ღმერთის ნებით მოგიწოდე, აგეღო სისხლი,

შენ კი ყოყმანობ, გეშინია ხელი აღმართო,

მონად შობილო, საძაგელო, ბილწო წარმართო!

გასწი, ნუ გხედავ, მომარიდე, ლაჩარო, სახე.

მუსლიმანობის რა ღირსი ხარ, სხვა ღმერთი ნახე.

ჯილდოდ პალმირას შეირთავდი, ამასაც გეტყვი,

მაგრამ პალმირა რაა შენთვის, ან რაა ღმერთი!

ლაჩარს მიანდო ღვთის განგება, ვითარ ეგების!

ჩვენს სამტრო მახვილს შენ თვითონვე წამოეგები.

გასწი ჩემს მტერთან, ემსახურე მონურად მტარვალს!

სეიდი

ღმერთი ღაღადებს შენი ბაგით და აჰა, მზად ვარ!

მუჰამედი

იმ უწმინდურის სისხლით ხელს რომ განიბან, გწამდეს,

სასუფეველში დამკვიდრდები უკუნისამდე.

(ომარს)

აღარ მოშორდე, წამდაუწუმ გეჭიროს თვალი

და ფხიზლად ზვერე, არ დაკარგო, იცოდე, კვალი.

სურათი მეშვიდე

მძევლად მიმიღო, მე კი უნდა მახვილი დავკრა

უიარაღო და უმწეო ბერიკაცს! მაგრამ

დე მოსახდენი მოხდეს! რადგან ღმერთმა ინება,

ჩემი მარჯვენით დღეს მსხვერპლს სისხლი დაედინება.

შურსმგებელად რაკი ღმერთმა მე ამირჩია,

ფიცს შევასრულებ, წმინდა გულით რომ მიმიცია.

მწედ მექმენ, ღმერთო, დიდებულო, ვისმა მარჯვენამ

მოკვდავ ტირანებს აწყევლინა ქვეყნად გაჩენა.

ამ გულს უშიშარს, შთააგონე, ღმერთო, სიშმაგე,

მარჯვენა, მტერზე აღმართული, შენ გამიმაგრე.

მუჰამედ, ხელი მომიმართე _ შევძლო მკვლელობა

და მორჩილ გულში ჩამინერგე ულმობელობა!

აჰ, ეს ვინ არის?

სურათი მერვე

საფირი, სეიდი

საფირი

რად შეშინდი, რა გემართება?

იმედს ნუ ჰკარგავ, ბედი წაღმა წარგემართება.

სული მელევა, ჩემს მტრებს შორის შენაც რომ გხედავ.

ზავმა დროებით შეაჩერა ხოცვა და ჟლეტა.

მაგრამ გუბდება ნიაღვარი და ალბათ მალე

გაჟონავს სადმე, იხუვლებს და ყველაფერს წალეკს.

მეტს ვეღარაფერს გეტყვი... ვაგლახ! გული მიკვდება,

რადგან წინასწარ ვგრძნობ, რომ საფრთხე არ აგცილდება.

სეიდ! იგულვე ჩემი ჭერი თავშესაფარად,

შენს სიცოცხლეზე პასუხს ვაგებ, გეტყვი აშკარად _

ვერ შეგელევი, ვერ გაგწირავ.

სეიდი

(განზე)

ო, მძიმე ვალო!

(საფირს)

აჰ, საფირ, როგორ დავიჯერო, რომ ეგზომ მწყალობ,

ჩემი სიცოცხლე რისთვის გიღირს ნეტავი ძვირად?

(ისევ განზე)

ო, ღმერთო ჩემო, ჩემს მოწყალეს როგორღა ვწირავ?!

მუჰამედ, უნდა მაპატიო, შემიდრკა გული.

საფირი

რომ მებრალები, ამითა ხარ გაკვირვებული?

რადგან კაცი ვარ, მეც მოყვარის ჭირი მადარდებს.

ხამს მებრალვოდეს და უცოდველთ ხელს ვუმართავდე.

ღმერთნო, მტარვალნი აღგავეთ და მოსრეთ სრულიად,

ხალხის ჟლეტით რომ ტკბებიან და სისხლი სწყურიათ.

სეიდი

მთნევს ეგ სიტყვები, გულში თაფლად ჩამოწვეთილი.

ჩემი ღმერთის მტერს როგორ ძალგიძს, იყო კეთილი?!

საფირი

მაშ, არ გცოდნია ჭეშმარიტი სიკეთის არსი,

გაცდუნეს, სეიდ, დაგიბნელეს ცრურწმენით აზრი.

შენთვის ტირანის კანონია ჭეშმარიტება

და ისლამს გარდა ყველაფერი ცოდვად ითვლება.

ბატონის მორჩილს გადაგეკრა თვალებზე ბინდი _

არც კი მიცნობდი და საზარელ ურჩხულად მთვლიდი.

დაგიგეს მახე და შეგაბეს რკინის უღელში

და გულს უცოდველს დაეუფლა რწმენა უხეში.

შენ მუჰამედმა გაცდუნა და არაფერს გერჩი,

მაგრამ ბოროტი ღმერთის რწმენა ვით გიდევს მკერდში?!

სეიდი

ვეღარ ვმორჩილებ, ვგრძნობ იმ ღმერთზე გული მიცვლია

და უკვე შენი სიძულვილი არ შემიძლია.

საფირი

(განზე)

ღმერთმანი, მასთან საუბარი მომხიბვლელია!

რა ყმაწვილია, რა ხალასი, რარიგ წრფელია!

მიკვირს მტარვალის მეომარი და მისი მონა

ვით შემოვიდა გულში ასე, რად მომეწონა?

(სეიდს)

ვისი სისხლი ჩქეფს შენს ძარღვებში, მითხარ, ვინა ხარ?

სეიდი

ჩემი მშობლები არასოდეს მე არ მინახავს.

მხოლოდ მოძღვარი მყავს და ვიყავ მისი ერთგული.

მასაც ვღალატობ, ვარ შენს სიტყვებს მინებებული.

საფირი

არც დედა გახსოვს, აღარც მამა?

სეიდი

პასუხს ნუ ითხოვ.

ჩემი აკვანი მუჰამედის კარავი იყო.

ფეხი ავიდგი მის ბანაკში, ენა დავძარი.

ჩემი სამშობლო მუჰამედის იყო ტაძარი,

აღზრდილთა შორის მე მწყალობდა ყველაზე მეტად.

საფირი

კარგად იქცევი, რომ უმადლი. სეიდ, ხომ ხედავ,

გულში სიკეთის არასოდეს არ ქრება კვალი.

(განზე, დანანებით)

ღმერთო, რად ჰქმენ, რომ მუჰამედის ემართოს ვალი!

(ისევ სეიდს)

შენ და პალმირას, მაშ, მან დაგდოთ ამაგი მშობლის?

აგრე რად შფოთავ, შუბლზე რად გდის ეგ სიმწრის ოფლი?!

თვალს რად მარიდებ, რისთვის ოხრავ, რისთვის კანკალებ?

სინდისის ქენჯნა საშინელი მგონი გაწვალებს.

სეიდი

ამ მრისხანე ჟამს ვინღა არის დამშვიდებული!

საფირი

თუ ინანიებს _ უმანკო და წმინდაა გული.

ვგრძნობ, რომ აქ სისხლი დაიღვრება, მაგრამ მე გიხსნი.

სეიდი

(განზე)

გიხსნიო, მე კი მისი უნდა დავღვარო სისხლი!

შურისძიების ღმერთო!.. აღთქმავ! და შენ, პალმირავ!..

საფირი

ნუ გეშინია, ჩემთან წამო, მე არ გაგწირავ.

სურათი მეცხრე

საფირი, სეიდი, ომარი, ამალა

ომარი

(აჩქარებით შემოდის)

შენ მუჰამედი გელის, რაღას აყოვნებ, ფლიდო!

სეიდი

სადა ვარ... ღმერთო, რა ვიღონო, რა გადავწყვიტო?

რა გზას დავადგე, სად ვიპოვო თავშესაფარი?

ორ ცეცხლს შუა ვარ ჩავარდნილი _ შველა არ არი.

ვინ მაპოვნინებს გამოსავალს?

ომარი

ღმერთის რჩეული.

სეიდი

ჰო, მასთან წავალ, რომ უარვყო აღთქმა წყეული.

სურათი მეათე

საფირი

_ სეიდ, შეჩერდი! სად მირბიხარ?

(თავის თავს)

გარბის ქარივით,

სასოწარკვეთით, შეშფოთებით და გამწარებით.

თვალს მიეფარა, თითქოს გული თან წარიტაცა,

მწარე ნაღველი შევამჩნიე, დამშორდა რაწამს.

რარიგ საბრალო იყო, რარიგ გაშმაგებული.

ორჭოფმა ბრძოლამ თითქოს ორად გააპო გული.

უკან გავყვები.

სურათი მეთერთმეტე

საფირი, ფანორი

ფანორი

ეს ბარათი ახლა მივიღე.

ვინმე არაბმა ჩუმად მომცა, ჰა, წაიკითხე.

საფირი

ჰერსიდი? ნუთუ მართლა ის მწერს. ღმერთნო მაღალნო!

სამოც წელს ნატანჯს ნუთუ შვება უნდა მახაროთ!

ჰერსიდს სურს მნახოს, ვინც მიჰგვარა ტყვეებად ვერაგს

ჩემი შვილები, მოწყვეტილნი მშობლიურ კერას.

მატყობინებს, რომ მუჰამედთან არიან ახლაც.

არც სეიდსა და არც პალმირას მშობლები არ ჰყავთ.

მათი მშობელი იქნებ მე ვარ, მოწყალე ღმერთო!

ვით დავიჯერო, წინათგრძნობას ბრმად როგორ ვენდო?

როგორ გავუძლო ამდენ ცრემლს და სიხარულს ამდენს!

გული ბუდეში ვერ ეტევა და ლამის გასკდეს!

მინდა, გავიქცე და ჩავიკრა მკერდში შვილები,

მაგრამ ვერ ვბედავ, ისევ ეჭვებს ვემორჩილები...

ჩქარა ჰერსიდთან! ამ წუთს გული როგორ ელოდა!

ამ სასახლეში მოვიყვანოთ სამლოცველოსთან,

სად ღმერთებს ვღლიდი ვედრებით და თაყვანისცემით.

კვლავ შევღაღადებ: „დამიბრუნეთ ჩემი შვილები!“

სიკეთის ხილვად ცდომილთ თვალნი აახელინეთ

და წარუმართეთ გზა წაღმართი გზასაცდენილებს.

დედის მუხთლობით თუ დავრჩები განაწბილები,

ვიშვილებ მაინც, იქნებიან ჩემი შვილები.

მოქმედება მეოთხე

სურათი პირველი

მუჰამედი, ომარი

ომარი

ფარული ზრახვა შეგვიტყვეს და გახდა აშკარა,

დიდების ნაცვლად, აღსასრული შენი დამდგარა.

გემორჩილება ჯერ სეიდი, ნებაზე მოგდევს,

მაგრამ ვიდრემდის წაქეზებით გაშმაგდებოდეს,

ისიც შეიტყობს საიდუმლოს.

მუჰამედი

ო, ზეცის ძალო!

ომარი

ჰერსიდს შვილივით უყვარს იგი და დიდად წყალობს.

მუჰამედი

მერე რა უდევს ჰერსიდს გულში, რას ფიქრობს?

ომარი

ვატყობ,

საფირის ხვედრი არ ასვენებს, შფოთავს და დარდობს.

მუჰამედი

ჰერსიდს არა აქვს ნებისყოფა, ასეთი კაცი

კისრულობს ღალატს _ მტერში თავის მოყვარეს გაცვლის.

მაშ, მიღალატა?! აწ დანდობა არავითარი!

მზად ხარ?

ომარი

ყველაფერს აღვასრულებ, როგორც მითხარი.

მუჰამედი

სიფრთხილე გვმართებს, კიდევ ერთი საათი დარჩა,

საფირი თუ ვერ მოვიშორეთ, ჩვენ გველის დასჯა.

ხოლო მახვილი თუ შეღება საფირის სისხლმა,

ხალხი იწამებს მაშინ ჩემს ღმერთს, რომელმაც მიხსნა.

ამ პირველ ნაბიჯს მყისვე უნდა მეორეც მოჰყვეს,

რაწამს სეიდი მსხვერპლის სისხლით გულს მოგვიოხებს,

მიჰყვება საფირს. ქვეყნად აღარც თვითონ იქნება.

საწამლავი ხომ მოამზადე?

ომარი

ნუ გეფიქრება.

მუჰამედი

სიკვდილის კალთამ საიდუმლო უნდა დაფაროს,

მიწაში დაფლა და სულიერს არ გააკაროს,

დე დაიღვაროს სისხლი მტრისა, შეხვრიპოს მიწამ

საფირის სისხლი, ვინც სიცოცხლე პალმირას მისცა.

პალმირასათვის მზრუნველობა არ დაივიწყო _

ეცადე, მუდამ ნეტარების ბურუსში იყოს.

არც დედასა და არცა მამას, არ იცნობს არცერთს.

ეს საიდუმლო ჩვენ ვიცით და ასევე დარჩეს.

მისთვისაც ასე ჯობია და მეც დავმშვიდდები.

თუკი არ იცნობ მშობლებს, მაინც ობლად ითვლები.

სისხლის ძახილის ვისაც სჯერა, მე იგი არ ვარ.

მოჩვენებაა ეგ მარტოდენ და აცდენს მრავალს.

არც სიყვარული მწამს, ვიწამე მიჩვევა მხოლოდ.

მეც შემეჩვია პალმირა და მომენდო ბოლოს.

თვალში მიყურებს, რადგან მისთვის ვარ ყველაფერი.

მაშ, გადათელოს აწ უცნობი მშობლების მტვერი

და მომაშუროს, რომ ალერსით ჩავიკრა მკერდში.

იქნებ ბატონის დასაპყრობად გულიც კი ერჩის?

მაგრამ დრო უკვე იწურება, ჰა, დაჰკრა ჟამმა _

მალე სეიდი მოაკვდინებს საკუთარ მამას.

ომარი

შეხედე, რისხვით შეპყრობილი ძლივს მოალაჯებს.

იგი მორჩილად შეასრულებს სასტიკ განაჩენს.

სურათი მეორე

მუჰამედი, ომარი _ წინ, გვერდზე.

სეიდი _ სცენის სიღრმეში.

სეიდი

რა მძიმე ვალი აღვასრულო უნდა, ვაგლახ მე!

მუჰამედი

(ომარს)

დროა წავიდეთ. გველოდება ახლა სხვა საქმეც.

(გადის ომართან ერთად).

სეიდი

(მარტო)

როდესაც ვუსმენ, გულისყური მას ემონება,

ერთი სიტყვაც კი მისი უმალ მირევს გონებას.

გული ამ სიტყვებს, რა ვქნა, მაინც არ ერწმუნება,

მაგრამ თუ ღმერთს სურს, ურჩობისა არ მაქვს უფლება.

მივდივარ, მაგრამ სიბრალულით გული ილევა.

რა საშინელი, რა მწარეა ეს მორჩილება!

სურათი მესამე

სეიდი, პალმირა

სეიდი

პალმირა, შენა? რად მოხვედი, საიდან გაჩნდი

აქ, სადაც ახლა დაფარფატებს სიკვდილის ლანდი?

პალმირა

შიშმა და შენმა სიყვარულმა არ მომასვენა,

ცრემლს დავაპკურებ სისხლისმღვრელად აწვდილ მარჯვენას.

ეგ მსხვერპლი დიდი ცოდვაა და დიდი ბრალია!

ნუთუ ბრძანება მუჰამედის გარდუვალია?

სეიდი

ო, ჩემი გულის მეუფეო და სასოებავ,

გამამხნევე და განმინათე ბნელი გონება.

მელაპარაკე, გამიმაგრე ჭირში მარჯვენა.

სად არის ღმერთი? მინდა ვკითხო, ეს განაჩენი

აღსასრულებლად მე რად მანდო, ან მუჰამედი

მართლა ქადაგებს იმას, რასაც განაგებს ღმერთი?

პალმირა

პასუხს ნუ ელი, ღვთის მოციქულს არ უყვარს ურჩი.

ისე ხედავს ტანჯვას, ცრემლს და იცის, რა გიდევს გულში.

ეს ვიცი მხოლოდ. დაეჭვება კი ცოდვას უდრის.

მხოლოდ მან უწყის ცხოვრების გზა სწორი და მრუდი.

ჩანს, მოციქულის ღმერთი მართლაც ჭეშმარიტია,

მისი წყალობით მუჰამედი ეგზომ დიდია!

სეიდი

შენ გწამს და გჯერა, მიტომ მარად ლოცულობ მისთვის,

მე კი გონება აღარ მიჭრის და ვეღარ მივხვდი _

კეთილმყოფელმა ხალხის მამამ რისთვის ინება

აღმამართვინოს ხელი კაცის მოსაკვდინებლად.

განა არ ვიცი, რომ ყოყმანი ცოდვად ითვლება?

განა ქურუმი მსხვერპლის დაკვლას მოერიდება?

ვიცი, საფირის მოკვდინება ნებაა ღვთისა

და განაჩენის აღსრულება მე დამეკისრა.

ეს მუჰამედმა შთამაგონა, მეც დავმორჩილდი

და მძიმე ვალის აღსრულებას პატივად ვთვლიდი,

მახვილით ხელში ჩემი ღმერთის მტრისკენ დავიძარ,

მაგრამ სხვა ღმერთმა თითქოს უცებ გზა გადამიჭრა.

როგორც კი თვალი გავუსწორე საფირის მზერას,

გულში მაშინვე გამიელვა: „ვერ მოვკლავ, ვერა!“

ზარდაცემულმა ველარ შევძელ თავის აღება,

ღონე წამართვა, შემაკავა კაცთმოყვარებამ

და მუჰამედმა რა სცნო, მტერი არ განგმირულა,

განრისხებულმა დამაყვედრა მამაშვილურად.

მისმა სიტყვებმა დამავიწყა ლმობიერება

და ვიგრძენ რწმენის სისასტიკე და ძლიერება.

ხელახლა რისხვით ავენთე და გამაგრდა მკლავიც,

მაგრამ, პალმირა, კაცის მოკვლა მაშინებს მაინც.

ცხრება რისხვა და სიბრალული გულს ეუფლება,

ათასი ფიქრი მომჯარვია მრუმე ღრუბლებად.

არ მინდა ვიყო არც მკრეხელი, არც სისხლისმღვრელი,

არ ვარ ჯალათად გაჩენილი, არა ვარ მკვლელი!

ღმერთმა მომანდო განაჩენი, მეც მივეც აღთქმა.

ვკანკალებ ჭირში ჩავარდნილი, არ ვიცი, რა ვქნა.

ფიქრთა მორევი მატრიალებს ისე, ვით ფოთოლს.

მამშვიდებს წამით, მერე ისევ რომ აღმაშფოთოს.

შენ შეგიძლია, საყვარელო, დამხსნა ამ მორევს.

თუმცა ერთმანეთს ვერა ძალა ვერ დაგვაშორებს,

მაგრამ თუ ღონემ მიღალატა, გრძნობას დავნებდი,

იქნებ ვერასდროს ველარ ვნახოთ ჩვენ ერთმანეთი.

შორს შებრალება, მტერს სიცოცხლე უნდა ჩავუქრო!

ამ მსხვერპლის ფასად მაქვს უფლება, დაგისაკუთრო.

პალმირა

ნუთუ საფირის მკვლელმა უნდა მიმიღოს ჯილდოდ?!

სეიდი

მუჰამედის და ღმერთის ნებით ეს ტანჯვა ვზიდოთ.

პალმირა

როგორ დაგვსაჯა სიყვარულის უწყალო ღმერთმა!

სეიდი

ვაგლახ! აგრეა, მუჰამედი კაცის მკვლელს შეგრთავს.

პალმირა

მზითვად საფირის სისხლს მარგუნებს!

სეიდი

ზეცამ ინება!

და გულიც რწმენას და სიყვარულს ემორჩილება.

პალმირა

ვაჰმე!

სეიდი

ხომ იცი, ურჩობისთვის ღვთის რისხვა გველის

და დავისჯებით მოციქულის სასტიკი წყევლით.

პალმირა

თუ შურისგება დაგაკისრა უფალმა შენმა

და თუ მოითხოვს სისხლს, რომელიც აღუთქვი შენ მას...

სეიდი

მაშინ?

პალმირა

არ ვიცი, შიშისაგან დამესხა რეტი.

სეიდი

მაშასადამე, გადაწყვიტე საფირის ბედი?

პალმირა

მე?..

სეიდი

ჰო, შენა სთქვი...

პალმირა

ღმერთო ჩემო, რა უნდა მეთქვა!

სეიდი

დაე, აღსრულდეს! შენი ბაგით მიბრძანა ღმერთმა.

აჰა, გადაწყდა, ვერ მომილბობს გულს ვერაფერი.

საკურთხეველთან გამოჩნდება მალე საფირი,

უწმინდურ ღმერთებს რომ მიმართოს ლოცვა–ვედრებით.

აქ ნუღარა ხარ, წა, პალმირა!

პალმირა

ვერ გაგეყრები!

სეიდი

კაცისმკვლელობას ვერ ჩავიდენ, ვერა, შენს თვალწინ _

გულგანგმირული მომაკვდავი შეგზარავს კაცი.

ალბათ აქვეა მუჰამედი და გვითვალთვალებს,

დამტოვე მარტოდ.

პალმირა

მაშ, საფირი მოკვდება მალე?

სეიდი

მსხვერპლის შეწირვა ზეცისათვის მე ვალად მაძევს,

მივეჭრები და წამის უმალ მიწაზე დავცემ,

სამგზის ვატაკებ მკერდში მახვილს და სულს ამოვხდი,

მერე დავლეწავ მის ბომონს და სისხლში ამოვთხვრი.

პალმირა

მის სისხლში ხელი აბა როგორ უნდა განბანო!

შიშმა შემიპყრო... აგერ ისიც...

სურათი მეოთხე

საფირი, სეიდი, პალმირა (წინა პლანზე)

საფირი

(საკურთხეველთან)

ღმერთნო მაღალნო!

მალე ცრურწმენის ულმობელი დაგთრგუნავთ ძალა!

დადგა ჟამი და ახლა უკვე მე მადევს ვალად,

ვილოცო თქვენთვის უილაჯომ, სასომიხდილმა.

კვლავ ომი გველის, კვლავ იმეფოს უნდა სიკვდილმა,

რათა ჩაგვიქროს უსუსური იმედის შუქი.

იმ არამზადას თუ დაინდობთ, ღმერთებო, თუკი...

სეიდი

(პალმირას)

გესმის? ღმერთს სცოდავს.

საფირი

არ შერისხავთ, მომკალით ბარემ!

მაგრამ მანამდე შვილთა პოვნით თუ გამახარებთ,

აღარ ვინაღვლი, მე მათ მკლავზე სულს ისე დავლევ,

მათი მხილველი ნეტარებით დავხუჭავ თვალებს!

ო, წინათგრძნობავ! ამ ოცნებას ვერ მოვიცილებ _

გამიღიმებდეს ნეტავ ბედი _ ვნახავდე შვილებს!

პალმირა

(სეიდს)

რა თქვა, შვილებსო?

საფირი

თქვენ მოგმართავთ, ღმერთნო, ვედრებით,

მათ კი, ღმერთებო, შთააგონეთ, სწამდეთ, ვით მწამდით.

თქვენ დაიფარეთ, განარიდეთ ტანჯვა და დარდი.

სეიდი

აჰა, ლოცულობს უკვე, დავკრავ!

(მახვილს იშიშვლებს)

პალმირა

სეიდ, რას შვრები!

სეიდი

მუჰამედის გულს მოვიგებ და ჯილდოდ დამრჩები.

ეს მსხვერპლი უნდა შეიწიროს ღმერთა მაღალმა,

მეძახის იგი და მოთმენა მეტი აღარ მაქვს.

განა ვერ ამჩნევ, მოუთმენლად როგორ მომელის,

როგორ რიალებს ღვთის აჩრდილი სისხლის მთხოვნელი?

პალმირა

გონს მოდი!

სეიდი

ჩემო ბედისწერავ, გმორჩილებ მარად.

ახლაც მოგყვები, რაღას უცდი, გამიძეხ ჩქარა,

წავიდეთ!

პალმირა

შიშმა ამიტანა, საით მიგყავარ?

დაიცა!

სეიდი

ხედავ, სამლოცველო როგორ ირყევა?

პალმირა

ეს ხომ ღვთისაგან მოვლენილი არის განგება!

სეიდი

ნეტავ, მკვლელობას მავალებს თუ თავშეკავებას?

ასე მგონია, მუჰამედი იდუმლად მხედავს

და მკიცხავს, ვალის ასრულებას რომ ვერა ვბედავ.

პალმირა!

პალმირა

გისმენ.

სეიდი

გთხოვ, ილოცო, ძვირფასო, ჩემთვის!

პალმირა

საშინელება გონს მიკარგავს! ჭირი ჭირს ერთვის _

ვისი ხმა მესმის, ვის დაძახილს აჰყვა ეს გული

და სისხლიც ნეტავ რისთვის არის აბორგებული?

ღმერთმა ასწონა ცოდვა–ბრალი, გასწირა ოდეს.

გულში მე მსხვერპლის სიბრალული რად უნდა მქონდეს?

მაგრამ სინდისი რომ მაწუხებს, რისი ბრალია?

არავინ უწყის, ვინ შესცოდა, ვინ მართალია!

მომეყურა თუ შემზარავი ხმა გავიგონე?

ეს განგმირული მომაკვდავის გმინვაა, ვგონებ,

ვაიმე, სეიდ!..

სეიდი

(შემოდის სახეამღვრეული)

ხმა მომესმა, ვინ დამიძახა?

პალმირა, ნუთუ ისიც დავკარგე, ვაგლახ!

პალმირა

სულის-

დგმავ ჩემო, ვერ მცნობ?

სეიდი

რა? რა?

პალმირა

მითხარი ჩქარა,

აღსრულდა აღთქმა ულმობელი, რომელიც მზარავს?

სეიდი

რა თქვი?

პალმირა

საფირზე გეკითხები.

სეიდი

რომელ საფირზე?

პალმირა

ღმერთო, გონება დაჰკარგვია, თვალშიც არ მიმზერს!

გავიქცეთ!

სეიდი

ვეღარ ვიძვრი, მუხლი მომეჭრა, ვაგლახ!

(ჯდება)

თვალში სინათლე მომივიდა, უკეთ ვარ ახლა.

პალმირა, შენ ხარ?

პალმირა

რა ჰქენ?

სეიდი

ის, რაც ენება უფალს,

გახელებული მოხუცებულს მივეჭერ უცბად.

ხელი დავტაცე ჭაღარაში და დავეც წამსვე.

შენ დამაყენე, ჰე, უფალო, სისხლიან გზაზე.

გაშმაგებულმა მკერდში ჩავეც მახვილი რკინა.

მეორედ უნდა რომ ჩამეცა, ამოიგმინა.

გულგანგმირულმა შემომხედა იმგვარი მზერით,

რომ შიშითა და სიბრალულით მეცვალა ფერი.

შემძულდა თავი, მეტად ძვირად დამიჯდა ვალი,

დაჭრილზე უფრო ახლა თვითონ ვარ შესაბრალი.

პალმირა

მუჰამედს უნდა ვთხოვოთ შველა ამ გასაჭირში.

ნუღარ ვაყოვნებთ, აქ დარჩენა არის საშიში.

ჩქარა წავიდეთ!

სეიდი

აღარ ძალმიძს, ვკვდები, პალმირა!

პალმირა

მახვილზე მწარედ მისი გული შიშმა განგმირა.

სეიდი

(ტირის)

ო, რომ გენახა მისი მზერა, გულ–ღვიძლში ჩამრჩა,

როგორ მიმზერდა მისი სისხლით შეღებილ ლაჩარს.

გაქცევა მცადე, მაგრამ მისი მესმა ძახილი.

მკერდში გაყრილი ამოიძრო ტანჯვით მახვილი,

ზარდაცემულმა ვერ მოვწყვიტე თვალი მომაკვდავს.

„საბრალო სეიდ, საყვარელო!“ _ ასე მომმართა.

მუხლი მომეჭრა, გაქრა ჩემი გაბოროტება,

ის ხმა, ის მზერა, ის მახვილი აღარ მშორდება.

მოხუცი სისხლში ამოსვრილი კვლავ თვალწინ მიდგას.

რა ჩავიდინე უგუნურმა, რა მომივიდა!..

რა მეშველება!

პალმირა

ვიღაც მოდის, მე შიში მზარავს.

საფრთხეს ერიდე, თუ გიყვარვარ, გავიქცეთ ჩქარა.

სეიდი

წადი, დამტოვე, სიყვარული თუ ღირდა იმად,

გამეღო მსხვერპლი, გული ასე რამ დამიმძიმა?

მე ეს მკვლელობა ჩავიდინე, იცოდე, შენთვის,

მაიძულებდა განა ამას მარტოდენ ღმერთი?

პალმირა

რა უსამართლო, რა მწარეა ეგ დაყვედრება,

რადგანაც ზაფრა შენი ჩემსას ვერ შეედრება.

შენი პალმირა, სეიდ, ნუთუ არ გებრალება?

სეიდი

ამას რას ვხედავ, რა იხილეს ჩემმა თვალებმა!

(გამოჩნდება საკურთხეველს დაყრდნობილი საფირი, წამოსვლას ლამობს)

პალმირა

ო, უბედური, ხედავ? ფეხზე ძლივსღა მაგრდება,

სული ხდება და მაინც ჩვენკენ მოემართება.

სეიდი

გინდა უშველო?

პალმირა

სიბრალულით ლამის გავთავდე.

სინდისი მქენჯნის, შევასრულებ, ვალად რაც მადევს _

ვთხოვ პატიებას, სინანული არ მომკლავს მაშინ.

საფირი

(მოდის პალმირას მხარზე დაყრდნობილი)

ო, აგრე, აგრე, ამომიდექ სულთმობრძავს მხარში.

(სეიდს)

რა ჩაიდინე, უბედურო სეიდ, რად მომკალ?

ახლაღა ტირი, გულმა რისხვა რომ დაიოკა?

სურათი მეხუთე

საფირი, სეიდი, პალმირა, ფანორი

ფანორი

ეს რა ვიხილე, ცაო, ნეტავ არ დამენახა!

საფირი

ჰერსიდის ნახვა ვერ მოვასწარ... ფანორ, შენა ხარ?

ჰა, ჩემი მკვლელი!

ფანორი

რა ცოდვაა, რა შემაზრზენი!

ჰოი, საბრალოვ, რა ჰქმენ, ეს ხომ მამაა შენი!

სეიდი

ვინა?

პალმირა

საფირი?

ფანორი

ო, ღმერთებო! ჰერსიდი კვდება.

უკანასკნელი ძლივსღა მამცნო, მიმქრალმა, ნება.

მითხრა, საზარი საქმე უნდა მოხდესო მალე _

თუ არ მიუსწარ, შვილის ხელით მამა სულს დალევს.

სეიდს მახვილი გამოსტაცე... არ უნდა მეთქვა

ის, რის დამალვაც დამავალა თვით მუჰამედმა.

ვერ შევუნახე საიდუმლო და მისი ხელით

ვკვდები კიდევაც და აწ საფირს ამაოდ ველი.

შენ მაინც უთხარ, გადარჩა–თქო ორივე ბავშვი _

პალმირა მისი ქალია და სეიდი _ ვაჟი.

სეიდი

რაო, პალმირა ჩემი დაა?

პალმირა

ძმაა სეიდი?

საფირი

ჩემო შვილებო! აწ გავლიე დღენი ბედითი.

ღმერთებო! თქვენი წინასწართქმა, აჰა, აღსრულდა,

სეიდ, ვინ ბრძანა ჩემი მოკვლა? შენ ხომ არ გსურდა!

სეიდი

(მის წინაშე მუხლზე ეცემა)

მოვალეობამ, ჩემმა რწმენამ, სინდისმა ჩემმა,

ყოველმა, რაიც იმსახურებს პატივისცემას,

ჩამადენინა ეს მკვლელობა ჯერ არნახული.

მომეც მახვილი, ჩემი ხელით პირგამახული!

პალმირა

(მუხლზე ეცემა, იქით სწევს სეიდის ხელს)

აჰ, ჩემო მამავ, ეგ მახვილი, ჯობს, მე დამკარი!

მე წავაქეზე და სეიდი ბრალში არ არის,

სამაგიეროდ, დავისაჯეთ მამის მკვლელობით.

სეიდი

და მაინც ზეცა არ დაგვატყდა ულმობელობით.

მაშ, შენ მიუზღე საკადრისი საზიზღარ მკვლელებს _

დაგვხოცე ბარემ.

საფირი

(ეხვევა)

ვკოცნი შვილებს, ვუკოცნი ხელებს.

ზეცის განგებამ ყველაფერი მაგემა ერთად _

ტანჯვა, ნაღველი, სიხარულის ცრემლი და ელდა.

ვარ კმაყოფილი ამ ხვედრისა, თუმცაღა ვკვდები,

აღარა ვნაღვლობ _ ჩემს მაგივრად ქვეყნად თქვენ მრჩებით.

მაგრამ, შვილებო, აწ გაფიცებთ დედაბუნებას,

ამ სისხლს დაწრეტილს, ჭრილობიდან რომ გეპკურებათ _

იძიეთ შური, მომაკვდავის ისმინეთ აჯა,

ოღონდ თავი კი არ წააგოთ! ცოტაღა დარჩა

და ცხარე ომი განახლდება ჩემს გასახარად.

ის ცოდვა, შენ რომ ჩაიდინე, შვილო, არ კმარა.

წმინდა ღმერთებმა გადმომხედეს მოწყალე თვალით _

გათენებისას, როს იფეთქებს რიჟრაჟის ალი,

ხალხს სასახლისკენ შურისგების წყურვილი დასძრავს.

იგი ვერაგი მუჰამედის მოითხოვს დასჯას.

ჩემი სიკვდილი ხალხს დარაზმავს...

სეიდი

მეც მათთან წავალ,

ბოლოს მოვუღებ, შემოგწირავ მსხვერპლად იმ მტარვალს.

შურს ვიძიებ და მერე ჩემი სისხლიც დაღვარონ!

სურათი მეექვსე

საფირი, სეიდი, პალმირა, ომარი, ფანორი

ომარი

შეჰკარით მკვლელი! მიეშველეთ საფირს საჩქაროდ!

მუჰამედს ნებავს, შეუვალად დაიცვას წესი.

საფირი

ჰე, უსაზმანო ბოროტებავ! ცაო, რა მესმის!

სეიდი

დასჯას მიპირებს?!

პალმირა

მერე ტირანს არ ახსოვს განა,

რომ მოკვდინება საფირისა თვითონვე ბრძანა?!

ომარი

სტყუი!

სეიდი

სასჯელმა სინანული ვერ განმარიდოს,

გულუბრყვილობამ მე ისეთი მარგუნა ჯილდო.

ომარი

შეჰკარით–მეთქი!

პალმირა

შესდექ, ჰოი, რა ვერაგი ხარ!

ომარი

დაგვემორჩილე, თუ სეიდი ნამდვილად გიყვარს.

თუმცაღა, ისე აუმღვრიე მეფეს გუნება,

შეეძლო შენი შეპყრობა და განადგურება,

მაგრამ გწყალობს და სურს ეახლო. დაჰყევ მის სურვილს.

პალმირა

ვაგლახ, ეგზომი ტანჯვის მომსწრეს ვით მიდგას სული!

(პალმირა და სეიდი გაჰყავთ)

საფირი

(ფანორს)

ისევ წამართვეს. სიხარული რა მალე გაქრა!

აგრე არ ვწუხდი, როცა შვილმა მახვილი დამკრა.

ფანორო

აჰა, თენდება კიდეც, ზეცამ წითლად იალა.

შენს დასაცავად მოდის ხალხი, ისხამს იარაღს.

საფირი

ჩემი ვაჟია, მაშ, სეიდი?

ფანორი

ნამდვილად.

საფირი

ზეცავ!

შემიდექ მხარში, ფანორ! მუხლი მთლად მომეკეცა.

ღმერთნო მაღალნო, ჩემს საყვარელ შვილებს ფარვიდეთ

და უნებლიე კაცის მკვლელებს რისხვა არიდეთ!

მოქმედება მეხუთე

სურათი პირველი

მუჰამედი, ომარი, სცენის სიღრმეში _ ამალა

ომარი

საფირი კვდება, ხოლო ხალხი გაშმაგებული

დაძვრას ლამობდა, მაგრამ ვინც ვართ შენი ერთგულნი,

წინ აღვუდექით და ამბოხის დასამშვიდებლად

გავიძახოდით: „მკვლელს სამსჯავრო არ ასცილდება!“

ღმერთის სახელით შურისგებას ვეფიცებოდით.

წელში ვწყდებოდით და შენს სახელს მტლედ ვედებოდით.

ვქადაგებდით, რომ ხარ მოწყალე და მადლიანი,

ბრძნულად განმსჯელი ყოვლისა და სამართლიანი.

დამცხრალი ხალხი გადიდებდა, ამბოხი შეწყდა.

ჩადგა გრიგალი, ზვირთებით რომ ნაპირებს ლეწდა.

ახლა ტალღების მილეული შრიალი ისმის.

მუჰამედი

ჩვენ შევეცდებით, არასოდეს ისმოდეს ისიც.

ქალაქის კედლებს ჩემი ჯარი თუ მოაყენე?

ომარი

ამბოხისათვის რომ მოესწროთ, ღამე ათენეს _

ოსმანს მოჰყავდა საიდუმლო გზით მეომრები.

მუჰამედი

ხედავ? მზაკვრობაც არის ხოლმე მტერთა მომრევი.

სეიდმა იცის, რომ განგმირა მამა მშობელი?

ომარი

ვის უნდა ეთქვა? იდუმალი ამბის მცნობელი

ჰერსიდი იყო, გავისტუმრეთ ისიც იმ ქვეყნად.

თვითონ სეიდიც, საცა არის, მის კვალს მიჰყვება,

შენ რომ ერთგულად გემსახურა, ვსპობ იმ იარაღს _

შხამგარეული გამოსცალა ხარბად ფიალა

და მის ძარღვებში მოწამლული სისხლი ჩქეფს ახლა.

იმ დროს, როდესაც ვერაგულად მსხვერპლს მიეახლა,

საკურთხეველთან საკუთარი მამა რომ დასცა,

გამჯდარი ჰქონდა ტანში უკვე სიკვდილი მასაც.

ახლა დილეგში აგდია და ალბათ სულ მალე

მშობელის სისხლში ხელგასვრილი იქვე სულს დალევს.

ბრძანება გავეც, რომ პალმირას აქ უდარაჯონ,

მინდა, რომ ახლოს ვიყოლიოთ, აგრე არა სჯობს?

გამოგვადგება იგი ფარად. დავაიმედე,

რომ თუ გვენდობა, მაშინ სეიდს არ გავიმეტებთ.

ხმა არ გაიღო. ბაგე მისი მდუმარედ დარჩა.

უეჭველია, გეყოლება პალმირა ხარჭად,

რადგან ბედსა სწევ, რადგან მისი ხვედრი იქნება

შენი დიადი აღზევების დაგვირგვინება.

მოჰყავთ კიდევაც, სახე უგავს ჩამოქნილ სანთელს.

მუჰამედი

გასწი, მოძებნე და სასწრაფოდ მოუხმე სარდლებს.

სურათი მეორე

მუჰამედი, პალმირა, ამალა

პალმირა

რა მომდის, სად ვარ, ღმერთო ჩემო!

მუჰამედი

რამ შეგაძრწუნა?

ნუ გეშინია, მე შენთვის და ხალხისთვის ვზრუნავ.

ის საიდუმლო, შენ რომ დაგდევს საზარელ ლანდად,

ვიცით მარტოდენ მე და ღმერთმა _ მეუფემ ცათა.

აღარ იქნები აწ ბორკილით ტანჯულ–გვემული,

ხარ ბედნიერი, ჩემთან ერთად გამარჯვებული.

სეიდს ნუ ნაღვლობ, სჯობს იფიქრო საკუთარ თავზე.

ხალხს და ქვეყანას მე განვაგებ, პასუხს მე გავცემ.

მამა ვიყავი შენთვის, ღვიძლი შვილივით გზრდიდი,

მაშ, იყავ ღირსი _ აწ პატივი მოგელის დიდი.

ამიერიდან მხოლოდ შენთვის გამზადებული,

მალე შეიტყობ, ხვედრი გელის რა დიდებული.

სეიდი უნდა დაივიწყო, სხვა დანარჩენიც,

სულ სხვანაირი უნდა იყოს ოცნება შენი.

იფიქრე მხოლოდ დიდებაზე, მოგელის ლხენა,

ჩემი სიკეთე გახსოვდეს და დაიცავ რწმენა.

პალმირა

რომელი რწმენა? რა სიკეთე? ჰოი, ჯალათო,

ჩემი ოჯახის ამომგდებო, შე მუხანათო!

რა სატანჯველიც გამიმზადე ბედშავს, რა ყოფაც,

აღარ მეყოფა? ვით მიბედავ შეურაცხყოფას?!

შენა ხარ ღმერთის მოციქული?! და ჩემი ღმერთი,

მეფე, რომელსაც მოწიწებით თაყვანსა ვცემდი?!

ურჩხულო! შენმა ვერაგობამ, ფარისევლობამ

ჩაგვადენინა უცოდველებს მამის მკვლელობა.

შენ არ მაცდუნე, უკეთურო, ქალწული წრფელი

და მამის სისხლით მაღებინე უმწიკვლო ხელი?

როგორღა ლამობ ზიზღით სავსე გულის მოგებას?!

შურს იძიებენ! _ გესმის ხალხის აბობოქრება?

მოდიან მხსნელნი და საკადრის პასუხს გაგცემენ.

შენ მამაჩემის ლანდი მაინც არ მოგასვენებს.

იგი მოუძღვის იარაღით აღჭურვილ მხსნელებს,

რომ მომეშველონ და საზიზღარს დამხსნან შენს ხელებს...

ნეტა შემეძლოს, რომ დავფლითო შენი სხეული

და ყველა შენი მიმდევარი, შენებრ წყეული!

მექა, მედინა, მთლად აზია მგონი ვერ წარეცხს

შენი მზაკვრობის შხამს, შხამზედაც ათასგზის მწარეს.

დე, შეცდენილმა ხალხმა დაგმოს ცხოვრება ყმური,

მონის ბორკილი დალეწოს და იძიოს შური!

დე, სჯული შენი, სიცრუე რომ სარჩულად უდევს,

უკუნისამდე წყეულ იყოს და ყველას სძულდეს!

შენ ჯოჯოხეთით აშინებდი, ვინაც შენს რწმენას

ეჭვით უმზერდა, დასაგმობად დასძრავდა ენას.

მაშ, ჯოჯოხეთი იყოს შენი დიდების ტახტი _

ბნელთა საქმეთა გამო აი რის ღირსი გახდი.

ახლა გავიგე, რა ფასი აქვს თურმე შენ ამაგს.

ჩემთვის რომ გსურდა, ის სიკეთე შენ მოგცეს ცამა!

მუჰამედი

მიმუხთლეს, მაგრამ მოღალატე ვინც უნდა იყოს,

ძრწოდეს უგნური! მორჩილებას მე შენგან ვითხოვ!

გწამდეს ეს გული...

სურათი მესამე

მუჰამედი, პალმირა, ომარი, ალი, ამალა

ომარი

საიდუმლო შეიტყო ყველამ.

ჰერსიდმა გაგვცა სიკვდილის წინ და ხალხი ღელავს.

ბრბო აბობოქრდა და დალეწა დილეგის კარი.

იარაღასხმულთ აქეთ მოაქვთ საფირი მკვდარი.

სეიდი უძღვის ხალხს და უხმობს შურის საგებლად.

შენ გემუქრება _ მუჰამედის ისმის ძაგება.

განრისხებული, აწყვეტილი ხალხი რომ ხედავს

მკერდგანგმირულ და სისხლით მოსვრილ მოხუცის ცხედარს,

თანაც სეიდის მწარე მოთქმა ჩაესმის შხამად:

„მამისმკვლელი ვარ!“ „ჩემი ხელით მოვკალი მამა!“

მოიწევს მედგრად, მოსდევს სეიდს ვეება ტალღა,

შენ და შენს ღმერთსაც, შენს კანონებს საძაგლად ლანძღავს.

და ისინიც კი, ვინაც უნდა მოგშველებოდა,

ვინაც მექაში ღამით უკვე ნიშანს ელოდა,

შენი ჯარისთვის რომ გაეღო ქალაქის კარი,

შენდამი რისხვით შეპყრობილი იმგვარად არი,

რომ აღშფოთებას და სიშმაგეს არავინ მალავს.

გაიძახიან: „შურისგება!“ „სიკვდილი ჯალათს!“

პალმირა

მოგვხედე, ღმერთო მოწყალეო, გვაკმარე ტანჯვა,

ჰქმენ სამართალი!

მუჰამედი

(ომარს)

გეშინია?

ომარი

თუმც ცოტა დარჩა

შენი ერთგული მეგობარი, მზად არის ყველა

ან გიხსნას, ანდა შენთან ერთად დაეცეს ველად.

მუჰამედი

მე გიხსნით ყველას, მოდით ახლოს, მომეჯარენით.

ნახავთ, ვინ არის თქვენი მეფე, თქვენი მფარველი!

სურათი მეოთხე

მუჰამედი, ომარი და მისი ამალა _ ერთ მხარეს, სეიდი და ხალხი _ მეორე მხარეს, პალმირა _ შუაში

სეიდი

(ხელში მახვილი უპყრია, მაგრამ საწამლავს უკვე დაუუძლურებია)

არ შეარჩინოთ მამაჩემის სისხლი ამ ბოროტს.

მუჰამედი

ხალხნო, თქვენს მფარველს მომისმინეთ, მე მენდეთ მხოლოდ.

სეიდი

ამ ურჩხულს ყური არ დაუგდოთ, ნუ გჯერათ მისი!

მომყევით–მეთქი! ღმერთო! თვალში ჩამიდგა ნისლი.

(ტორტმანით მიიწევს წინ)

დაჰკათ!.. ო, ვკვდები!

მუჰამედი

გამარჯვება მაინც მე დამრჩა!

პალმირა

(სეიდთან მიირბენს)

მამა ხომ მოჰკალ, ახლა რისთვის გიმტყუვნა მაჯამ?

სეიდი

დავიძრათ! მუხლი მეკეცება... რა მომდის ნეტავ?!

(თავისიანთა ხელზე ეცემა)

მუჰამედი

ეს დღე მოელის ყველას, ვინაც ურჩობას ბედავს,

ვინც შურისგებას მოისურვებს საფირისათვის!

მეხთამპყრობელი, უძლეველი მე ვარ ღვთის მადლით.

მტვრად ვაქცევ, ვინმეს საყვედური რომ დასცდეს მალვით.

ჩემი მარჯვენა არ დაინდობს, იცოდეთ, არვის!

ბედშავნო! გიჯობთ მოციქულის იყოთ გამგონი,

მე და სეიდს კი განგვსჯის ღმერთის წმინდა კანონი.

ვერ გაექცევა დამნაშავე, ალაჰის მახვილს.

პალმირა

ძმაო, ხომ ხედავ, ვით მორჩილებს ამ ურჩხულს ხალხი!

გაქვავებულან, მდუმარებენ, წაერთოთ ენა.

გულში უნერგავს მუჰამედი მათ თავის რწმენას.

შენ რაღა მოგდის, სეიდ?!

სეიდი

(თავისიანების ხელზე დაყრდნობილი)

ჩემზე ცა გამწყრალია.

დაო, ეს ცოდვა, უნებლიე, რა საზარია!

ვაგლახ, რომ გული სათნოებით ამაოდ ძგერდა.

მტარვალო, ძრწოდე! შეცდომისთვის დამსაჯოს ღმერთმა,

მაგრამ ის, ვინაც სიცოცხლე და მამა წამართვა,

ვით გაექცევა ზეციერის სასტიკ სამართალს?

ღმერთი გფარვიდეს, ჩემო დაო, პალმირა, ვკვდები!

პალმირა

ხალხო, ღმერთს იგი არ მოუკლავს, მერწმუნეთ, ცდებით,

მოწამლულია!..

მუჰამედი

(აწყვეტინებს და მიმართავს ხალხს)

ურწმუნონო, გაბედეთ კიდევ

ჩემი ღალატი, ამგვარ სასჯელს თუ გსურთ, იმკიდეთ.

მე ღმერთი მწყალობს და სიკვდილი მემორჩილება,

ის მეხმარება, მას მივანდე შურისძიება.

ხედავთ, ვით დასცა თქვენს წინაშე მან ჩემი მტერი?

ხედავთ?! სეიდის სახეს ადევს სიკვდილის ფერი.

ყველა განდგომილს დაატყდება თავს ჩემი რისხვა,

უმალ ჩავახშობ, თუ გაისმა მოშურნე მტრის ხმა.

მზად ვარ ბოროტთა და ორგულთა ასაოხრებლად,

ამიერიდან ვერ გაბედონ მათ ამბოხება.

ო, უკეთურნო, მზის სინათლეს რომ ხედავთ ჯერაც,

უმადლეთ იმას, არ ჩაგიქროთ ვინაც ეგ მზერა.

სიცოცხლე თქვენთვის, ვით წყალობა, მაქვს ნაბოძები.

დაიშალენით და დამიცხრეთ გული ლოცვებით.

(ხალხი იშლება)

პალმირა

შენ მომიწამლე ძმა და ლამობ, დაფარო კვალი?

მტარვალო, ყველას აუხვიე სიცრუით თვალი

და ბოროტებით ცდილობ მართლაც გიწამონ ღმერთად.

ძმაცა და მამაც გამომტაცე ორივე ერთად.

ბარემ მეც მომკალ, თან გავყვები, რომ ვუერთგულო.

საბრალო ძმაო, საყვარელო ძმაო ბედკრულო,

მოვდივარ!

(მის მახვილს დაიცემს)

მუჰამედი

ჩქარა, შეაჩერეთ!

პალმირა

აჰა, მეც ვკვდები.

ჯალათო, რწმენას თან წავიღებ, რომ ღმერთის ნებით

სიმართლე მაინც გაიმარჯვებს, ავის მძლეველი,

რათა უცოდველთ დაემკვიდროს სასუფეველი.

შენ კი, მპყრობელო დამონებულ კაცთა გონების,

იმეფებ, ვიდრე იქნებიან ქვეყნად მონები.

მუჰამედი

დავკარგე იგი. გამარჯვება ძვირად დამიჯდა.

მიზეზი ჩემი ბოროტების, აჰა, დამიწდა.

გავიმარჯვე და მაინც დავრჩი დამარცხებული.

სადღაა ჩემი სიმამაცე ეგზომ ქებული?!

რა მემართება? შემაწუხა სინდისის ქენჯნამ?

აკი აქამდე არ ვნანობდი, რაც არ უნდ მექნა?!.

გულჩვილი გავხდი? ღმერთო! აკი ვიყავ ერთგული

და შენი რისხვით ხალხი მყავდა დაჩოქებული.

შენი შეწევნით აღვასრულე, რაც კი ვიქადე.

ბოროტ საქმეთა იარაღად შენ გამიხადე.

ახლა კი დამცდა საყვედური და კვლავ მაშინებ,

ამ ჭირს, ამ სასჯელს ახლა ვეღარ გადამარჩინე.

სხვებს ვაბრიყვებდი, მაგრამ თავი ვით გავიბრიყვო?

მამის და შვილის აჩრდილებო, სამართალს ითხოვთ.

აჰა, აღსრულდეს, აწ მოგვაგეთ სამაგიერო

მე, ღმერთს, ქვეყანას. დე, ამ გულმა აღარ იძგეროს,

რომელიც ზიზღს და ვერაგობას იყო ჩვეული,

რომელიც ახლა ცეცხლში არის გამოხვეული.

(ომარს)

ეს ყოველივე სამუდამოდ გადაივიწყე.

დამალე ჩემი გულჩვილობაც, ჩემი სიბილწეც,

ვით მოციქული, მე ვიმეფებ ღმერთის უფლებით,

ხოლო თუ მოკვდავ კაცად მიცნეს _ დავიღუპები.

(დასასრული)